ანაბეჭდი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო სტუდენტური გაზეთი

„ძალლი ყეფს და ტრაქტორები ანგრევენ საყდრისს“

2014 წლის 13 დეკემბერს, დაახლოებით დილის 9 საათზე საყდრისში პირველი აფეთქების ხმა გაისმა. ბიძგი იმდენად ძლიერი იყო, რომ უახლოეს სოფელ, ბალიჭებში, სახლებიც კი დაიბზარა. სამოქალაქო საზოგადოების პროტესტისა და მაღაროს სტატუსთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარე დავის მიუხედავად, კომპანია „RMG-Gold-მა“ სამუშაოები მძიმე ტექნიკისა და „კოდალების“ გამოყენებით განაახლა. კულტურული ობიექტის დანგრევას წინ მრავალწლიანი არქეოლოგიური სამუშაო და რამდენიმეწლიანი სამოქალაქო პროტექტი უძღოდა. თუმცა, ბრძოლა საზოგადოების დამარცხებით დასრულდა.

გვ.3

4 მიზეზი, რატომ არ უნდა ჩავძიროთ რაჭა

15 დეკემბერს სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რაჭაში, კერძოდ, შარეულას ხეობაში გიგანტური ჰესების მშენებლობა იგეგმება. ენერგეტიკის სამინისტრომ უკვე მოაწერა მემორანდუმს ხელი თურქულ კომპანია „ჩალიკ ენერჯისთან“, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საეჭვოა ამ ჰესების ეკონომიკური სარგებელი ქვეყნისთვის, რადგან კონტრაქტის მიხედვით, ქართულ მხარეს რჩება გამომუშავებული ენერგიის მხოლოდ 16%. გარდა ამისა, უცნობია, რა გავლენის მოხდენა შეუძლია ჰიდროენერგოსადგურების მშენებლობა რაჭის ეკოსისტემაზე, რა სოციალ-ეკონომიკური და ბიოპროცესები შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლების არასწორად წარმართულ ენერგოპოლიტიკას.

ტრადიციად იქცა, რომ ყოველი წლის ბოლოს მორიგი ჰესის საფრთხეზე ვმსჯელობთ. ჯერ იყო დარიალჰესი, შემდგომ ხუდონი, ახლა კი ჯერი რაჭაზეა.

გვ.4.

ქალი ეპისკოპოსი

პირველად განათლების სამინისტროში შევხვდით ერთმანეთს. მრავალჯერ მომიბოდიშა დაგვიანებისთვის, ინტერესით უსმენდა ჩემს საუბარს. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის უცხო ვიყავი, ეს სრულიად არ მიგვრძნია. სამინისტროში სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები შეიკრიბნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ, მან თბილად მოიკითხა მუსლიმი და ქრისტიანული დენომინაციების წევრები. გაიხუმრა კიდეც: ,,შობის აღნიშვნა ხაგრძლივი გამოგვივა. ჯერ ჩვენთან ბაპტისტებში, მერე მუსლიმებში და ასე მიყოლებით.“

გვ.9

თბილისი- "სუფთა ქალაქი"

ნარჩენების მართვის კოდექსის XX მუხლის თანახმად, 2015 წლიდან ძალაში შევა დაჯარიმების სისტემა, რომელიც დაეკისრება იმ პირს, ვინც არასათანადო ადგილას დაყრის ნაგავს და დააბინძურებს გარემოს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და გამოუყენებელი ნივთების თავიდან აცილება არც ისე რთულია, მაგრამ პრობლემის წინაშე ვდგებით მაშინ, როდესაც ამ ნარჩენებს არასწორ მიმართულებას ვაძლევთ და ამით ზიანს ვაყენებთ არა მარტო ბუნებას, არამედ საკუთარ თავსა და ჩვენ გარშემო მყოფ მოსახლეობასაც. თბილისიც მსგავსი პრობლემის წინაშე დგას. მოგვარდა ის საკითხი, რომელიც ქალაქიდან ნაგვის დროულ გატანას გულისხმობს, მაგრამ აქვე ვაწყდებით მეორე პრობლემას - სად მიდის ეს ნარჩენები?!

გვ.5

საცობები დედაქალაქში

ბოლო რამდენიმე თვეა, დედაქალაქის ქუჩებში ქაოსის ახალი წყარო გაჩნდა - საავტომობილო საცობები, კვირის შვიდივე დღეს, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ქალაქის ყველა რაიონში. ეს უკანასკნელი, არც აქამდე ყოფილა უცხო თბილისის მოსახლეობისთვის, მაგრამ ბოლო პერიოდში, პრობლემის სიმწვავემ პიკს მიაღწია.

გვ.5

უწარწერო კარებს მიღმა

აუდიტორია ზოგჯერ გადავსებულია, ზოგჯერ - ნაკლებად. ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ კითხულობს ლექციას. დამსწრე უამრავი სტუდენტისგან ოცს, სხვებთან შედარებით, უპირატესობა აქვს - ისინი ,,ლიბცენტრის" წევრები არიან.

,,ლიბცენტრი“ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პროექტია, რომელიც 2013 წლიდან ხორციელდება, ამერიკული დონორი ორგანიზაციის ,,ეროვნული ქველმოქმედება დემოკრატიისთვის“ ფინანსური მხარდაჭერით. ცენტს დავით კლდიაშვილი ხელმძღვანელობს.

გვ.6

რას ნიშნავს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება?

საქართველომ ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას 2014 წლის 27 ივნისს მოაწერა ხელი. ევროინტეგრაციის გზაზე ეს წინ გადადგმული, დიდი და წარმატებული ნაბიჯი იყო. აღნიშნულ ფაქტს ბევრმა გარემოებამ შეუწყო ხელი. გარდა იმისა, რომ ქვეყანა გაკრვეულ სფეროებში წინ მიდის და ასე თუ ისე, წარმატებულად გადის დემოკრატიზაციის პროცესს, პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, კონსტიტუციურად და მშვიდობიანი ფორმით შეიცვალა ხელისუფლება, იზრდება მოსახლეობის ჩართულობა პოლიტიკაში, ეტაპობრივად ვითარდება სამოქალაქო საზოგადოება და ა.შ. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება საქართველოს ევროინტეგრაციის ახალი ეტაპია.

ამ ყველაფერზე გავლენა გარე ფაქტორებმაც მოახდინა. უკრაინაში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა მოვლენებმა დასავლელ პოლიტიკურ ლიდერებს დაანახა, რომ მიუხედავად რუსეთ–შენგენის ზონის ეკონომიკური მიჯაჭვულობისა, მყისიერი და ქმედითი ნაბიჯები იყო საჭირო, რადგანაც საერთაშორისო სამართლებრივ წესრიგსა და მის ნორმებს უდიდესი საფრთხე დაემუქრა. ამის გამო ევროპა აქტიურად ზრუნავს რუსული გაზის ჩანაცვლებაზე ახლო აღმოსავლეთიდან შელფური, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატებიდან – თხევადი გაზით. რუსეთი ეკონომიკურად დამოკიდებულია ევროპაზე. განსაკუთრებით ახლა, როცა ქვეყნის ვალუტის კურსი ეცემა და მთლიანი შიდა პროდუქტის პროცენტული მაჩვენებელი შემცირებულია. რუსეთის ეკონომიკური კრიზისი ევროკავშირს საშუალებას აძლევს, გააგრძელოს აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორობის კურსი, რისი შედეგიცაა მცირე დროში ასოცირების ხელშეკრულებაზე ხელმოწერა.

აღნიშნული დოკუმენტი საქართველოსთვის გაცილებით მეტია, ვიდრე უბრალოდ შესასრულებელი ვალდებულებების სია. ასოცირების ხელშეკრულება მოიცავს რიგ მითითებებს, რაც დაეხმარება ქვეყანას, დაუახლოვდეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების განვითარების დონეს ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ასპექტებში.

2014 წლის 18 დეკემბერს ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება მოახდინა. ამას 490-მა ევროპარლამენტარმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგი იყო 76, ხოლო 57-მა თავი შეიკავა. ამ ფაქტს საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები გამოეხმაურნენ. საგარეო საქმეთა მინისტრმა, თამარ ბერუჩაშვილმა აღნიშნა, რომ ეს წარმატება არა რომელიმე ცალკეული პოლიტიკური ძალის დამსახურება, არამედ ქართველი ხალხის მიღწევაა. თეა წულუკიანის თქმით, ასოცირების ხელშეკრულების რატიფიცირება ახალი ეტაპის დაწყებაა: „ვუღოცავ ყველა მოქალაქეს. ეს არის კიდევ ერთი დიდი ეტაპის დასრულება. ამ წარმატებაში თითოეულმა მოქალაქემ შეიტანა თავისი წვლილი.“ საქართველოს პრემიერ–მინისტრი, ირაკლი ღარიბაშვილიც გამოეხმაურა ხელშეკრულების რატიფიცირებას: „ყველა ქართველის სახელით, მინდა, მადლობა გადავუხადო ევროპარლამენტის წევრებს ჩვენი ქვეყნისა და ჩვენი ინსტიტუტებისადმი ნდობისთვის, რომელიც ამ კენჭისყრის შედეგში გამოცხადდა. ბოლო წლებში, ჩვენ ძალ–ღონეს არ ვიშურებდით დემოკრატიული რეფორმების გასატარებლად, რამაც განაპირობა კიდეც ჩვენი ეს წარმატება.“

ხელშეკრულების რატიფიკაცია გულისხმობს იმ სამოქმედო გეგმის დამტკიცებას, რასაც ასოცირების დოკუმენტი მოიცავს. საფრანგეთში საქართველოს ყოფილი სრულუფლებიანი ელჩის, მამუკა კუდავას თქმით, ევროკავშირის ფარგლებში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება თუ ხელშეკრულება უნდა დაამტკიცოს ევროპარლამენტმა.

ხელშეკრულების რატიფიკაცია უნდა მოახდინოს ევროკავშირის წევრმა ყველა სახელმწიფომ.

ამ პროცესით ჩვენმა ქვეყანამ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ევროპასთან დაახლოების გზაზე. აღნიშნული ფაქტით, ევროპამ ნდობა გამოუცხადა საქართველოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაში.

ანა სარალიძე

ლარის გაუფასურება – პროცესი და შედეგები

ეროვნული ვალუტის გამყარება დაწყებულია. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დოლართან მიმართებით ლარის ახალი, ოფიციალური გაცვლითი კურსი დაადგინა. 18 დეკემბრიდან 1 დოლარი 1.91 ლარი ღირს. დღევანდელ ვითარებას წინ უძღოდა ნოემბრიდან მოყოლებული ლარის გაუფასურების პროცესი: 10 ნოემბერს ლარის კურსი დოლართან მიმართებით 1.7561-ს შეადგენდა, ხოლო 6 დეკემბერს 1.9527-ს მიაღწია. ლარის კურსის ვარდნის დეტალების გასარკვევად ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა, მედია ეროვნულ ბანკთან გადაამისამართა, რისთვისაც მან ქართული პოლიტიკური სპექტრის გარკვეული ნაწილის კრიტიკა დაიმსახურა.

„ნოდარ ხადურს არ სურდა ლარის გაუფასურებაზე კომენტარის გაკეთება, მაგრამ მოუწევს,“ - განაცხადა სპეციალურ ბრიფინგზე პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა. მან ასევე ისაუბრა რეგიონში არსებულ რთულ ეკონომიკურ-პოლიტიკურ ვითარებაზე, რამაც სავაჭრო ბალანსზე უარყოფითი გავლენა იქონია. ასევე აღნიშნა, რომ დოლარის გამყარების პროცესმა მსოფლიოში, თითქმის, ყველა ვალუტის მიმართ სწრაფი ტემპით ასეთ ნიშნულამდე ასვლა გამოიწვია.

10 დეკემბერს გამართულ მთავრობის სხდომაზე პრემიერმა ნოდარ ხადურს ანგარიშის წარდგენა მოსთხოვა. საქართველოს ფინანსთა მინისტრის განცხადებით, ქვეყნის 2014 წლის ბიუჯეტის შესრულების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას. „არანაირი პრობლემა ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით არ იქნება. რაც შეეხება ათვისებას, ამ მიმართულებითაც უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე წინა პერიოდებში იყო. ბოლო ხანს ძალიან გააქტიურდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები - უწყება თვეში დაახლოებით 125-130 მილიონს ხარჯავს,“ - განაცხადა ნოდარ ხადურმა. ექსპერტების თქმით, დეკემბერში საბიუჯეტო ჩამორჩენის სრულად აღმოფხვრაზე ეკონომიკის სამინისტრომ უარი უნდა თქვას, რადგან ერთ თვეში ჭარბი ლარის მასის ჩაშვება მიმოქცევაში, მათი შეფასებით, ლარის კიდევ უფრო გაუფასურებას გამოიწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ ეროვნული ვალუტა გამყარდა, მან კრედიტორებსა და სამომხმარებლო ბაზარზე გარკვეული გავლენა უკვე მოახდინა. მსესხებლების 60%-ს სესხი უცხოურ ვალუტაში (მათ უმრავლესობას დოლარში) აქვს აღებული, შესაბამისად ეზრდებათ კრედიტით მომსახურების ხარჯები. რაც შეეხება სამომხმარებლო ბაზარს, ლარის გაუფასურებამ მასზე მყისიერი ასახვა ჰპოვა. იმის გათვალისწინებით, რომ ქართული ეკონომიკისა და ბაზრის თითქმის 70% იმპორტზე არის დამოკიდებული და იმპორტული პროდუქტის შესყიდვა, როგორც წესი, დოლარში ხდება, მათზე ფასები იმატებს. თუმცა, აქვე აღსანიშნავია, რომ ფასებმა არამარტო იმპორტულზე, ადგილობრივ პროდუქციაზეც მოიმატა. 5-10 თეთრით არის მომატებული ფასები რძის პროდუქტებზე, 50 თეთრით - ბრინჯზე, 30 თეთრით - შაქარზე, ერთი ტომარა უმაღლესი ხარისხის ფქვილზე - 2 ლარით, ყველა დასახელების კარაქზე 5-10 თეთრით და ა.შ. თითქმის ყველა გაზგასამართ სადგურზე ფასი 5 თეთრით გაზრდილია. ასევე, ფასები სხვადასხვა მედიკამენტებზე 5-დან 15%-მდე არის მომატებული.

ფინანსთა მინისტრის განცხადებით, „პროდუქტებზე ფასების მატება არ შეინიშნება.“ რეალობა, რომლის წინაშეც მომხმარებელი დღეს დგას, სხვაგვარია, თუმცა ერთი რამ ცხადია – ფინანსთა სამინისტროს სამომხმარებლო ფასების მზარდი ტენდენციის შესაჩერებლად სერიოზული სამუშაოების ჩატარება მოუწევს.

გიორგი როგავა

პრეზიდენტი არასაპარლამენტო ოპოზიციას შეხვდა



19 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი შეხვდა არასაპარლამენტო ოპოზიციას შეხვდა. პრეზიდენტის პრესსამსახურის ცნობით, შეხვედრის მთავარი თემა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონებში შექმნილი ვითარება იყო.

„ქვეყნის პირველმა პირმა პოლიტიკოსების მოსაზრებები მოისმინა რეგიონში შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით. საუბარი ასევე შეეხო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. პოლიტიკოსთა ნაწილს მიაჩნია, რომ რუსეთთან პრობლემის მოსაგვარებლად,გიორგი მარგველაშვილი უნდა შეხვდეს რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინს.“

პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებმა დადებითად შეაფასეს პრეზიდენტის ინიციატივა და აღნიშნეს, რომ მსგავსი შეხვედრები ყველა დონეზე უნდა გაიმართოს.

გიორგი მარგველაშვილან შეხვედრას ესწრებოდნენ „ახალი მემარჯვენეების“, „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“, „ქართული დასის“, „მემარცხენე ალიანსის“, „საქართველოს გზის“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“, „სამოქალაქო ალიანსისა“ და „ევროპული დემოკრატების წარმომადგენლები“. უახლოეს დღეებში პრეზიდენტი გეგმავს, შეხვდეს როგორც საპარლამენტო უმრავლესობას, ისე უმცირესობას,“- ნათქვამია პრეზიდენტის პრესსამსახურის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

გიორგი საღინაძე

"ძაღლი ყეფს და ტრაქტორები ანგრევენ საყდრისს"

2014 წლის 13 დეკემბერს, დაახლოებით დილის 9 საათზე საყდრისში პირველი აფეთქების ხმა გაისმა. ბიძგი იმდენად ძლიერი იყო, რომ უახლოეს სოფელ, ბალიჭებში, სახლებიც კი დაიბზარა. სამოქალაქო საზოგადოების პროტესტისა და მაღაროს სტატუსთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარე დავის მიუხედავად, კომპანია „RMG-Gold-მა“ სამუშაოები მძიმე ტექნიკისა და „კოდალების“ გამოყენებით განაახლა. კულტურული ობიექტის დანგრევას წინ მრავალწლიანი არქეოლოგიური სამუშაო და რამდენიმეწლიანი სამოქალაქო პროტექტი უძღოდა. თუმცა, ბრძოლა საზოგადოების დამარცხებით დასრულდა.

საყდრისი-ყაჩაღიანის ბორცვზე გათხრები 2004 წელს დაიწყო. აქ აღმოჩნდა ათასობით ქვის ურო, ხის ნახშირი, არტეფაქტები. ქართულ-გერმანული არქეოლოგების ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოების შემდეგ, რომელსაც ირინა ღამბაშიძე ხელმძღვანელობდა, ანალიზით, მაღარო ძველი წელთაღრიცხვის მეოთხე ათასწლეულით დაათარიღეს. 2005 წელს კულტურის სამინისტროში წარადგინეს დოკუმენტაცია, რომლის საფუძველზეც 2006 წლის ნოემბერში მაღაროს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა. თუმცა საყდრისის ისტორიული ფასეულობა ეჭვის ქვეშ 2013 წელს დადგა. კომპანია „RMG-Gold -მა“ მიმართა ყოფილ პრემიერ მინისტრს ბიძინა ივანიშვილს, რათა საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორიაზე მიეცათ სამუშაოების წარმოების უფლება, რასაც მათთვის მინიჭებული ლიცენზია, არ ითვალისწინებდა. მალევე კულტურის სამინისტროში შეიქმნა 11 კაციანი კომისია, რომელსაც დაევალა აღნიშნული ობიექტისთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მინიჭების დოკუმენტაციის შესწავლა და მისი გადატანისთვის საჭირო რეკომენდაციების შემუშავება. თუმცა, კომისიის მუშაობა სხვა მიმართულებით წარიმართა. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ აქ სპილენძის მომპოვებელი საბადო შეიძლებოდა ყოფილიყო, რადგან ტერიტორიაზე ხილული ოქრო არ იყო იმ რაოდენობით, რომ მისი მოპოვება ღირებული ყოფილიყო. ამასთან 5000 წლის წინათ არ არსებობდა ტექნოლოგია, რომლის საშუალებითაც მიწის სიღრმიდან ოქროს მადანს მოიპოვებდნენ. კულტურის სამინისტრომ 11-კაციანი კომისიის რეკომენდაციის საფუძველზე, საყდრისის მაღაროს კულტურული მემკვიდრეობის სტატუსი 2013 წლის 5 ივლისს მოუხსნა.

კომისიის წევრი იყო ომარ ქუცნაშვილი, გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორი, რომელმაც ოქროს საბადოს არსებობა უარყო: „რა თქმა უნდა, იმ დროს არ მოიპოვებოდა ოქრო, რადგანაც მაშინ კი არა, სულ რაღაც ორი საუკუნეა, რაც კვარციტებიდან ოქროს მოპოვება დაიწყო სპეციალური მეთოდებით - გამოტუტვით. ცხადია, 5 ათასი წლის წინ ამ ტექნოლოგიას არავინ ფლობდა. ამიტომ არც გეოლოგიური კუთხით დასტურდება და არც მეტალურგიული კუთხით. კვარციტებში მხოლოდ მიკროსკოპით შეიძლება დაინახო და ასე თვითნაბადი სახით არც არავის უნახავს, არც ყოფილა და არც არის“.

საწინააღმდეგოს ამტკიცებს ექსპედიციის ხელმძღვანელი, ირინა ღამბაშიძე. მისი თქმით, მართალია ოქროს კვალი ხილული არ არის, თუმცა აღმოჩენილი იარაღების მეშვეობით მათი გადამუშავება და მოპოვება ხდებოდა. ქართულ გერმანულმა ექსპედიციამ ეს არაერთხელ დაამტკიცა ექსპერიმენტებით.

საყდრის-ყაჩაღიანის უბანზე მადნის მოპოვების განახლება შესაძლებელი გახდა 2014 წლის 12 დეკემბერს გამოცემული კულტურის მინისტრის ბრძანებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს დასკვნის საფუძველზე. სააგენტოს ხელმძღვანელის ნიკოლოზ ანთიძის თქმით, ბევრი ფაქტორის გათვალისწინებით, მიღებული იქნა ძეგლის გადატანის გადაწყვეტილება, რაც მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია. სააგენტო და კულტურის სამინისტრო გადაწყვეტილების მიღებისას დიდწილად დაეყრდნენ სამინისტროსთან შექმნილი საყდრის-ყაჩაღიანის „შემსწავლელი კომისიის“ წევრების დასკვნას. ექსპერტების შეფასებას ნდობას უცხადებდა ირაკლი ღარიბაშილიც: „კომისიამ დადო დასკვნა, რომლის მიხედვითაც გაირკვა, რომ ეს საბადო არ წარმოადგენს განსაკუთრებულ ადგილს. ის, რომ ოქროს საბადო იყო, არ არის დადასტურებული. ინვესტორმა 300 მილიონი დოლარის ინვესტიცია განახორციელა და დაასაქმა 3 ათასი მუშახელი.“

თუმცა, პრემიერს გამორჩა ის გარემოება, რომ კომპანიისთვის ლიცენზიის მინიჭების დროს, საყდრისი-ყაჩაღიანის ტერიტორია გათვალისწინებული არ იყო. შესაბამისად, „RMG-Gold-ის“ ფინანსურ მდგომარეობაზე ეს ვერ აისახებოდა. კომპანიაში კი აცხადებდნენ, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოს ათვისებას სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი თქმით, წარმოების სიმძლავრის 70 პროცენტით შემცირება მოუწევდათ და ეს დასაქმებულთა რაოდენობაზე, ანაზღაურებაზე, ადგილობრივ ბიუჯეტსა და გადასახადების გადახდაზე აისახებოდა.

კომპანიის ირიბ მუქარას, თანამშრომელთა შემცირების თაობაზე, დასაქმებულთა პროტესტი მოჰყვა. სამსახურის დაკარგვის შიშით მოსახლეობამ საყდრისის დამცველების წინააღმდეგ აქცია რამდენჯერმე გამართა და მათ ერთადერთ რამეს - თავის დანებებას სთხოვდა. მათ შორის ის ადამიანებიც იყვნენ, რომლებიც რამდენიმე თვის წინ აქციებს კომპანიის წინააღმდეგ მართავდნენ.

საყდრისის დამცველთა ინფორმაციით ბორცვის სრულად ათვისება რამდენიმე თვეში მოხდება. ამასთან, შეუძლებელია ასეთ მცირე ტერიტორიაზე 3 ათასი ადამიანის დასაქმება. და ცოტა ხანში, მივიღებთ უზარმაზარ ორმოს, ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე მდგარ რეგიონს და დაუსაქმებელ მოსახლეობას. გერმანული მხარის გათვლა გრძელვადიანი იყო. ოქროს სამთო წესით მოპოვება ძეგლის გადარჩენისა და მოსახლეობის გრძელვადიანი დასაქმების პერსპექტივას წარმოადგენდა.

პროფესორი თომას შტოლნერი 10 წლიანი კვლევის შემდეგ, ფიქრობს, რომ საყდრისის დაზიანება უსამართლობაა. გერმანელი არქეოლოგის განცხადებით ეს მსოფლიოში უძველესი ოქროს საბადოა: „ის 500-დან ათას წლამდე უფრო ძველია, ვიდრე ეგვიპტეში მიკვლეული საბადო, ეგრეთ წოდებული ფარაონის ოქრო.“

არჩილ კბილავაშვილი, „RMG Gold-ის“ მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში, ამბობს, რომ კომპანია ხელმძღვანელობს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 12 დეკემბრის ბრძანებით და საყდრისის მაღაროს განიხილავს არქეოლოგიურ ობიექტად და არა კულტურული მემკვიდრეობის ძეგლად. შესაბამისად, კომპანიას აქვს უფლება დაშალოს და გადაიტანოს არქეოლოგიური ობიექტი.

ძეგლის აფეთქებაზე პასუხისმგებლობას არ იღებს კულტურის მინისტრი. მიხეილ გიორგაძის 12 დეკემბრის ბრძანებას, რომელმაც კომპანიას მსხვილმასშტაბიანი სამუშაოების ჩატარების საშუალება მისცა, სამოქალაქო პროტესტი მოჰყვა. თუმცა მინისტრის თქმით, საზოგადოების ნაწილის აზრი, თითქოს გადაწყვეტილება ძეგლის სტატუსის მოხსნის შესახებ ნაჩქარევად და ფარულად იყო მიღებული უსაფუძვლოა, რადგან პროცესი თვეების მანძილზე მიმდინარეობდა და მასში რამდენიმე მსხვილი ინსტიტუცია იყო ჩართული.

საყდრისის აფეთქებას 19 დეკემბერს განცხადებით გამოეხმაურა გიორგი მარგველაშვილი. პრეზიდენტისა და პრემიერის შეხედულებები არც ამ თემასთან დაკავშირებით დაემთხვა ერთმანეთს: „თითოეული ცივილიზებული ქვეყანა ვალდებულია მოუაროს საკუთარ კულტურულ მემკვიდრეობას. ქართული კულტურული მემკვიდრეობის ობიექტებს შორის ერთ-ერთი უძველესი სწორედ საყდრისის ოქროს მაღაროა. ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი იდენტობის გამომხატველი თითოეული ნიმუში და ამით დავიცვათ საკუთარი იდენტურობა. საყდრისის მაღაროს საქმეზე დავა მიმდინარეობს სასამართლოში. ყველა ვალდებულია დაელოდოს სასამართლო პროცესის დასრულებას და შემდეგ აღასრულოს სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება, მანამდე კი დაუშვებელია ობიექტზე ფართომასშტაბიანი სამუშაოების წარმოება“.

„RMG-Gold-ის“ მიერ საყდრისი-ყაჩაღიანის N1 სალიცენზიო უბანზე სამთო-მოპოვებითი სამუშაოების განახლება შემაშფოთებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციისთვისაც. განცხადებაშია ნათქვამია: „სამინისტროს და სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები მით უფრო შემაშფოთებელია იმ ფონზე, როდესაც დღემდე არ არსებობს ინფორმაცია, მიმდინარეობს თუ არა საქართველოს მთავარი პროკურატურის მიერ გამოძიება საყდრისი-ყაჩაღიანის, როგორც არქეოლოგიური ობიექტის დაზიანების ფაქტზე“.

გამოძიებას მოითხოვს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქიც: „საქართველოს ეკლესია გმობს ამ აქტს და იმ ადამიანებს, რომლებმაც ეს აფეთქება მოაწყვეს. ვთხოვთ ხელისუფლებას, რომ გამოძიებული იყოს ეს საქმე და ჩამდენმა სათანადო სასჯელი მიიღოს“.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის შეფასებით, "არქეოლოგიური ობიექტის დღევანდელ სავალალო მდგომარეობა განაპირობა 2013 წელს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის თანახმად ოქროს სამთამადნო წარმოების ძეგლს მოეხსნა სტატუსი". მუზეუმი გამოქვეყნებულ განცხადებაში აღნიშნავს, რომ ბრძანებას საფუძვლად დაედო თერთმეტკაციანი კომისიის დასკვნა, რომლის მომზადებაში არ ყოფილან ჩართული ის ქართველი და უცხოელი მეცნიერები, რომლებიც თითქმის ათი წლის განმავლობაში იკვლევდნენ ძეგლს.

არქეოლოგი ნიკოლოზ წიქარიძე საყდრისის აფეთქებას დიდ დანაკლისად მიიჩნევს. ამასთან ფიქრობს, რომ ბორცვის ათვისებით ქვეყანას სოციალური და ეკოლოგიური ზარალიც მიადგა: „საყდრისის აფეთქებით ქვეყანამ დაუშვა პრეცენდენტი, რომ ვიღაცის ეკონომიკურ ინტერესებს შეიძლება შეეწიროს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი, კანონის გვერდის ავლით. დაიკარგა არქეოლოგიური ინფორმაცია, უდიდესი ზარალი მიადგა ქვეყნის სამეცნიერო რეპუტაციას, გამოჩნდა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ კანონის გაუმართაობა და უფუნქციობა.“

თვეების, უფრო ზუსტად კი წლების მანძილზე მიმდინარეობდა სამოქალაქო პროტესტიც. 2013 წლიდან აქციების უწყვეტი ციკლი დაიწყო. „მწვანე მუშტი“ ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საყდრისის დასაცავად საპროტესტო ტალღას დაუდო სათავე. სტუდენტური მოძრაობის წევრი, მაქი კვიციანი მაღაროს აფეთქებას კომპლექსურ საკითხად მიიჩნევს და კულტურულ მხარესთან ერთად სოციალურ და ეკოლოგიურ ასპექტებსაც განიხილავს: „მე ვფიქრობ, ცალკეულ საკითხად კულტურული მემკვიდრეობის განხილვა არ არის სწორი, რადგან კულტურა, ეკოლოგია არის სოციუმის განუყოფელი ნაწილი. საყდრისის თემა მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობა არ ყოფილა, შესაბამისად, „მწვანე მუშტი“ კვლავ აგრძელებს ბრძოლას იმისთვის, რომ დაბაში მდგომარეობა ეკოლოგიური თუ სოციალური თვალსაზრისით გაუმჯობესდეს. “

ოდნავ მოგვიანებით შეიქმნა საყდრისის გადარჩენის საზოგადოებრივი კომიტეტი. მოქალაქეებმა კარავი საყდრისის მოპირდაპირ ბორცვზე გაშალეს და უწყვეტ რეჟიმში ადევნებდნენ თვალყურს ძეგლის მდგომარეობას. ლევან ჩიტაიშვილი ერთ-ერთი მათგანი იყო: „კარვების აქცია საშუალებას გვაძლევდა უფრო მეტი ინფორმაცია გვქონოდა რა მოვლენები ვითარდებოდა ადგილზე და რაც მთავარია უფრო ადვილი იქნებოდა კაზრეთიდან სამუშაოების შეჩერება თუი დაიწყებოდა ნებისმიერი კანონიერი ხერხით. მე არ ვფიქრობ რომ საზოგადოება ამ ბრძოლაში დამარცხდა. სამოქალაქო მოძრაობამ გამოიყენა ყველა ხელთ არსებული სამართლებრივი რესურსი, მობილიზაცია გაუკეთა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს მოიგო ორი სასამართლო პროცესი სამინისტროს წინააღმდეგ“.

„ძაღლი ყეფს და ტრაქტორები ანგრევენ საყდრისს,“ - ასე შეაფასა საია-ს ყოფილმა თავმჯდომარემ, კახა კოჟორიძემ დეკემბერში მიმდინარე მოვლენები. ძეგლს ბევრჯერ შეუცვალეს სტატუსი, თუმცა მისი 10 წლიანი ისტორია 13 დეკემბერს აფეთქებით დასრულდა. სანამ კერძო კომპანია, მთავრობა, მეცნიერები და საზოგადოება შეთანხმდებოდა, „კოდალებმა“ საყდრისის ბორცვი გაანადგურეს.

მაია ჭანტურიძე

4 მიზეზი, რატომ არ უნდა ჩავაძირინოთ რაჭა

15 დეკემბერს სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, რომ რაჭაში, კერძოდ, შარეულას ხეობაში გიგანტური ჰესების მშენებლობა იგეგმება. ენერგეტიკის სამინისტრომ უკვე მოაწერა მემორანდუმს ხელი თურქულ კომპანია „ჩალიკ ენერჯისთან“, რამაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. საეჭვოა ამ ჰესების ეკონომიკური სარგებელი ქვეყნისთვის, რადგან კონტრაქტის მიხედვით, ქართულ მხარეს რჩება გამომუშავებული ენერგიის მხოლოდ 16%. გარდა ამისა, უცნობია, რა გავლენის მოხდენა შეუძლია ჰიდროენერგოსადგურების მშენებლობა რაჭის ეკოსისტემაზე, რა სოციალ-ეკონომიკური და ბიოპროცესები შეიძლება მოჰყვეს ხელისუფლების არასწორად წარმართულ ენერგოპოლიტიკას.

ტრადიციად იქცა, რომ ყოველი წლის ბოლოს მორიგი ჰესის საფრთხეზე ვმსჯელობთ. ჯერ იყო დარიალჰესი, შემდგომ ხუდონი, ახლა კი ჯერი რაჭაზეა.

მოძველებული მონაცემები

სკოლის პერიოდში ხშირად გვესმოდა, საქართველო წყალუხვი ქვეყანაა და 26.000-ზე მეტი მდინარე აქვს. ეს მონაცემები 70-იან წლებშია მოპოვებული, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ შეიცვალა. მაგალითად, მდინარეების ისეთი მახასიათებლები, როგორიცაა წლიური ჩამონადენის რაოდენობა, საშუალო წლიური ხარჯი და ა.შ. ამის გარდა, კლიმატის ცვლილება აგრესიულ ფაზაშია შესული. ტემპერატურა სეზონისთვის სულ უფრო არაადეკვატური ხდება, რაც აისახება მტკნარი წყლის მკვეთრ შემცირებაზე, რომელიც უახლოეს 50 წელიწადში თავისი მნიშვნელობით ნავთობს ჩაანაცვლებს.

სახელმწიფოს ენერგოპოლიტიკა

ენერგეტიკის წყაროებიდან საქართველოში მხოლოდ ჰიდრორესურსს ვიყენებთ. ნიკა გილაურის მინისტრობის დროს შეიქმნა პოტენციური ჰესების ნუსხა, რომელიც დაახლოებით 30-ჯერ შეიცვალა.

წინა მთავრობის პოლიტიკას აგრძელებს ენერგეტიკის ამჟამინდელი მინისტრი კახა კალაძეც. საქართველოს ვიცე-პრემიერს საკმაოდ ამბიციური გეგმები აქვს - ქვეყანა აქციოს ჰიდროენერგეტიკის გიგანტად.

მაგრამ ამ სურვილის მიღმა დგას სერიოზული საფრთხე - უნიკალური მხარეების დაკარგვის საშიშროება.

ჰესის მშენებლობა რაჭაში

შარეულას ხეობაში, მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე ორი ჰესის მშენებლობაა დაგეგმილი. ესენია სადმელჰესი და ალპანაჰესი. მათზე უფლება თურქულმა კომპანიამ „ჩალიკ ენერჯიმ“ მოიპოვა. ინვესტორსა და საქართველოს მთავრობას შორის მემორანდუმი უკვე გაფორმებულია, რაც რაჭას სერიოზული საფრთხის ქვეშ დააყენებს.

საფრთხეები

ექსპერტები იმ 4 ძირითად საფრთხეზე საუბრობენ, რომელიც ამ მხარეს ემუქრება ჰესების მშენებლობის შემთხვევაში.

საფრთხე #1: ვაზის უნიკალური ჯიშის, ხვანჭკარის განადგურება.

ხვანჭკარას იღებენ წითელყურძნიანი ვაზის ჯიშისგან ალექსანდროულისგან, რომლის გავრცელების არეალი ხვანჭკარის თემით შემოიფარგლება. მიკროზონა ვრცელდება მდინარე რიონის მარჯვენა სანაპიროზე 35-40 კმ მანძილზე. ის გაშენებულია როგორც უშუალოდ სანაპირო ზოლზე, ასევე ქედის დაქანებებზე.

„მწვანე მოძრაობა-დედამიწის მეგობრების“ თავჯდომარის, ნინო ჩხობაძის თქმით, ჰესების მშენებლობას მოჰყვება მიკროკლიმატის შეცვლა, რომელიც სერიოზულ ზიანს მიაყენებს ხვანჭკარას. არაა გამორიცხული ამ ვაზის ჯიშის გაქრობაც: „ხვანჭკარის უნიკალურობა სწორედ მის მიკროკლიმატშია. მისი ნახევრადტკბილი გემო, კონკრეტული თვისებები აღნიშნულ პირობებთანაა შეთავსებული. პირველი, რაც ხვანჭკარას ახასიათებს, შაქრიანობაა,



რომლის შემცველობა, ჰესების მშენებლობის შემთხვევაში, საგრძნობლად შეიცვლება.“

ერთხელ ასეთი რამ უკვე მოხდა. 60-იან წლებში, როცა შაორის ტბა შექმნეს, მისი სარკის(წყლის ზედაპირის) სიდიდის გამო საგრძნობლად მოიმატა აორთქლების დონემ, რაც აისახა ხვანჭკარის ძირითად მახასიათებლებზე.

ანალოგიური სიტუაციაა ჰესებთან მიმართებით. ალპანაჰესის წყლის სარკის ფართობი 5 კმ2-ს შეადგენს, რაც კიდევ უფრო გაზრდის აორთქლების დონეს. ეს კი გამოიწვევს საშუალო წლიური ტემპერატურის აწევასა და სეტყვიანი დღეების რაოდენობის ზრდას. მდინარის ნაპირას გაშენებული ვაზი დადტბორვის არეალში ხვდება, ანუ მთლიანად ჩაირეცხება. რაც შეეხება ქედზე მოშენებულ ალექსანდროულის ნერგებს, ის მეწყერსაშიშ ზონაში ხვდება.

საფრთხე #2 - მეწყრულ-ღვარცოფული ზონა

რაჭა აქტიური მეწყერსაშიში ზონაა. შარეულას ხეობა არამდგრად, მყიფე ქანებზე დგას. მაგალითად, არ გადის სეზონი, რომ ჭრებალოსთან მეწყერი არ ჩამოწვეს, რისი განმენდაც სახელმწიფოს ძვირად უჯდება.

ქანების ჩამოშლა კიდევ ერთი მიზეზითაა განპირობებული. კერძოდ, თურქულ კომპანიასა და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს შორის გაფორმებულ მემორანდუმში წერია, რომ ჰესებისთვის გამოიყენებენ მდინარე რიცეულას 90%-ს, ხოლო დანარჩენი 10% კი შენაკადს უნდა დარჩეს. ამის გათვალისწინებით, შემდეგ სცენარს მივიღებთ: მდინარე წყალს ვეღარ მიიღებს, შესაბამისად, კვების გარეშე რჩება ტყეები და ვაზი, რაც მათ ხმობას გამოიწვევს, ხოლო კლდეების მყიფე მასები ჩამოშლას დაიწყებენ. ფაქტობრივად, ის წიწვოვანი ხეები, რომლებიც შარეულას ხეობაშია, ან გახმება, ან რომელიმე მეწყრის ჩამოწვის დროს განადგურდება.

როგორც ნინო ჩხობაძე ამბობს, მიკროკლიმატის შეცვლა მძიმე და ხანგძლივი პროცესია. მაგალითად, შაორის შექმნის შემდეგ ბუნებას დაახლოებით 50 წელი დასჭირდა, რათა წონასწორობა აღედგინა.

საფრთხე #3: სეისმურად აქტიური ზონა.

შარეულას ხეობა გაგრა-ჯავის მონაკვეთზე მდებარეობს. ის 9-ბალიანი სეისმური ზონაა, სადაც ყოველ 12 წელიწადში მიწისძვრა ხდება.

დატბორვა, კერძოდ, წყლის ჩადგომა, კიდევ უფრო ხელს უწყობს სეისმური პროცესების გააქტიურებას. არსებობს დაუმტკიცებელი მონაცემები, რომ ყველა მასშტაბური კაშხლის მშენებლობას, რომელსაც დიდი სარკე აქვს, მიწისძვრის პროვოცირება შეუძლია.

პრობლემა, რომელიც შეიძლება დაემართოს ალპანაჰესს, ისაა, რომ წყალი გვერდით გავა. მსგავსი შემთხვევა მოხდა რამდენიმე წლის წინ, როცა რიკოთის უღელტეხილზე მდინარე ყვირილაზე ხიდი ააშენეს. ის არასწორად იყო დაპროექტებული. წყალდიდობის დროს მდინარემ ნაპირები ჩარეცხა, ხიდი კი წყალზე იდგა.

გარდა ამისა, მდინარე რიონის ხეობის გარშემო ჩაღრმავებული ადგილებია. დატბორვის დროს წყალი იქ ჩადგება, რაც მიწისძვრის შანსს ერთი–ორად გაზრდის.

საფრთხე #4 - სოციალურ–ეკონომიკური ფაქტორები

ყველაზე მძიმე სიტუაციაში ადგილობრივი მოსახლეობა ვარდება. გარდა ამისა, რომ მათი შემოსავლის ძირითად წყაროს, ხვანჭკარა, გაქრობის საფრთხის ქვეშ დგას, ისინი პოტენციური ეკომიგრანტები ხდებიან.

''პირველადი ინფორმაცია ათი სოფლის დატბორვის შესახებ სიმართლეს არ შეესაბამება. დატბორვის არეალში მდინარე რიცეულას მიმდებარე სოფელი ხვანჭკარა ხვდება. დანარჩენ სოფლებამდე წყალი უბრალოდ ვერ შეაღწევს, მდინარის გარშემო არსებული ჩაღრმავებების გამო,''– ამბობს „მწვანე მოძრაობა-დედამიწის შვილების“ თავჯდომარე ნინო ჩხობაძე.

იქაური სოფლის მოსახლეობის ძირითადი საქმიანობაა მევენახეობა. მიკროკლიმატის ცვლილება კატაკლიზმებს გამოიწვევს, გახშირდება მეწყერები და ღვარცოფები, გააქტიურდება სეისმური პროცესები. შედეგად, რაჭა კიდევ უფრო დაიცლება მოსახლეობისგან, უმუშევართა რიცხვი გაიზრდება, ხოლო სახელმწიფოს ბიუჯეტში მევენახეობიდან და ხვანჭკარის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავალი საგრძნობლად შემცირდება.

ენერგეტიკის მინისტრის განცხადება

ზემოთ აღნიშნული ფაქტორები ეწინააღმდეგება ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის განცხადებას, რომელიც მან 17 დეკემბრის ბრიფინგზე გააკეთა:''სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ არსებული საპროექტო წინადადება არ ითვალისწინებს არც დატბორვას და, შესაბამისად, არც სოფლების გადასახლებასა და ვანის უნიკალური ჯიშების საფრთხეს არ ქმნის.''

მემორანდუმის თამახმად, თურქულმა კომპანიამ 18 თვის განმავლობაში ჰესის მშენებლობისთვის განკუთვნილი ადგილი უნდა შეისწავლოს. კვლევის დასრულების შემდეგ დაიდება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში, რომლის მიხედვით სახელმწიფო გადაწყვეტს, დაიწყოს თუ არა ინვესტორმა მუშაობა.

ჰესის მშენებლობა თუ დაიწყება, სახელმწიფო საკუთარ თავზე იღებს კომპენსაციის გადახდას. მოსახლეობა აქაც წაგებული რჩება, რადგან ქვეყანაში არსებული მძიმე ეკონომიკური კრიზის ფონზე, კომპენსაციის რაოდენობა საკმაოდ მიზერული იქნება.

რამდენად რელევანტურია ჰესების მშენებლობა რაჭაში, ეს უკვე მეორე საკითხია. აგრეთვე საეჭვოა, გამოიმუშავებენ თუ არა 150-და 70-მეგავატიანი სიმძლავრის მქონე ჰესები საჭირო ენერგიას რიონის იმ შენაკადზე, რომლის სიგრძე 24 კმ2, ხოლო აუზის ფართობი 166 კმ2.

ფაქტი ფაქტად რჩება, მოსახლეობა აღნიშნული ობიექტების მშენებლობას აპროტესტებს. 20 დეკემბერს სოფელ ჭრებალოში აქცია გაიმართა სახელწოდებით „არ ჩავაძირინოთ რაჭა“. ადგილობრივები ხელისუფლებას სთხოვენ, არ გაანადგურონ ის ბიოგარემო, რომელიც შარეულას ხეობაშია. რაჭველებს იმედი აქვთ, რომ პროტესტით შეძლებენ ამ უნიკალური კუთხის გადარჩენას ეკოკატასტროფისგან.

ანა მებურიშვილი

საავტომობილო საცობები დედაქალაქში

ბოლო რამდენიმე თვეა, დედაქალაქის ქუჩებში ქაოსის ახალი წყარო გაჩნდა - საავტომობილო საცობები, კვირის შვიდივე დღეს, დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ქალაქის ყველა რაიონში. ეს უკანასკნელი, არც აქამდე ყოფილა უცხო თბილისის მოსახლეობისთვის, მაგრამ ბოლო პერიოდში, პრობლემის სიმწვავემ პიკს მიაღწია. ოფიციალური მონაცემებით, დღის განმავლობაში, დედაქალაქში მილიონი მანქანა მოძრაობს, რაც იმას მოწმობს, რომ ავტომობილით გადაადგილება დღითიდღე შეუძლებელი ხდება. მუდმივად გადატვირთული გზებით დიდი და პატარა ერთნაირადაა შეწუხებული. იგი პრობლემას უქმნის როგორც მძღოლებს, ასევე ფეხით მოსიარულეებსაც. საზოგადოება ფიქრობს, რომ მდგომარეობა გაუსაძლისია, რადგან დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად, მათ ორჯერ მეტი დრო სჭირდებათ.

„უნივერსიტეტში წასვლა ერთ დიდ პრობლემად გადაიქცა. ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით გადაიტვირთა დედაქალაქის ქუჩები და აქამდე თუ 40-45 წუთი მჭირდებოდა უნივერსიტეტამდე მისასვლელად, ახლა ზოგჯერ ერთი საათიც არაა საკმარისი. ლექციები, ძირითადად, დილით მაქვს და ყოველ დღე ერთსა და იმავე პრობლემას ვაწყდები. იმედი მაქვს, თბილისის მერია იზრუნებს, სწრაფად და ეფექტურად მოაგვაროს არსებული მდგომარეობა და სამომავლოდაც არ მოგვიწევს ყოველ დილა-საღამოს საათობით მანქანების რიგში დგომა,“- ამბობს უნივერსიტეტის სტუდენტი ნინო კანდელაკი.

ზოგი არასწორ ინფრასტრუქტურას აბრალებს ამ მდგომარეობას, სხვები - არასწორად განთავსებულ შუქნიშნებს, მავანნი ფიქრობენ, რომ არასწორი პარკინგებია („ავარიულებით“ გაჩერებული მანქანები) პრობლემა და ა.შ.

დედაქალაქის საკრებულოში აცხადებენ, რომ თბილისის ქუჩებში არსებული სატრანსპორტო საცობები უმწვავეს პრობლემად იქცა და მის აღმოსაფხვრელად საჭიროა, სწრაფ და ეფექტურ სამოქმედო გეგმის შემუშავებაზე გადასვლა.

მოძრაობის უსაფრთხოების ექსპერტის, შალვა ოგბაიძის თქმით, შეფერხება, ავტომანქანის გადაადგილებისას, შეიძლება, გამოიწვიოს ახდილმა ჭამ, ჩამქრალმა ან უბრალოდ, არასწორად დადგმულმა შუქნიშანმა, ამოტეხილმა ასფალტმა (ორმომ) და ა.შ. იგი ფიქრობს, რომ საცობების წარმოშობას აქვს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები.

თბილისის ადგილმდებარეობა, მისი ლანდშაფტი, განივი მაგისტრალებისა და დამაკავშირებელი ხიდების ნაკლებობა, მოძველებული ავტოპარკი და, რა თქმა უნდა, ავტომობილთა რაოდენობა - ეს ის ობიექტური ფაქტორებია, რომლებიც, შალვა ოგბაიძის აზრით, დედაქალაქის ქუჩებში გრძელი საცობების შექმნას უწყობს ხელს. რაც შეეხება სუბიექტურ მიზეზებს, მას მიაჩნია, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხარვეზი თვითონ თბილისის სატრანსპორტო სისტემებისა და მოძრაობის ორგანიზაციის სფეროს მენეჯმენტშია. იგი ასევე საუბრობს ინსტიტუციურ ხარვეზებზე. „მერიაში აუცილებლად უნდა არსებობდეს ერთგვარი სამსახური, რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ამ პრობლემის მოგვარებას, რაც მხოლოდ ეფექტური და ოპერატიული მართვითაა შესაძლებელი. უნდა შეიქმნას მართვის ისეთი მოდელი, რომელიც სწრაფად აღმოფხვრის მოძრაობის შემაფერხებელ ყველა დაბრკოლებას. როგორი უმნიშვნელოც არ უნდა იყოს დაზიანება, აუცილებლია მისი სწრაფად შეკეთება, რათა შემდგომში არ წარმოქმნას უფრო რთულად მოსაგვარებელი პრობლემები.“

შალვა ოგბაიძის თქმით, საცობებს, გარდა ინფრასტრუქტურული დარღვევებისა, ე.წ. ურბანული პრობლემებიც ქმნის და მიაჩნია, რომ თუ შესაბამისი სამსახურები დროულად არ იზრუნებენ ამ საკითხის მოგვარებაზე, დედაქალაქში სულ მალე მოძრაობა შეუძლებელი გახდება. „ავიღოთ სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორია, რომელიც ტრანსპორტისგან პრაქტიკულად გაუვალია. საგანგაშოა, რომ ასათიანის ქუჩაზე იგეგმება რვა 16-სართულიანი შენობის აშენება, რაც თბილისში ახალ სატრანსპორტო კოლაფსს შექმნის,“- ამბობს იგი.

გარდა ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორებისა, საცობების შექმნის ერთ-ერთი მთავარი გამომწვევი დედაქალაქში მოძრავ მანქანათა რაოდენობაა. ბოლო პერიოდში, ვინაიდან ქვეყანაში სამუშაო ადგილები არ



არის, უამრავი ადამიანი „ტაქსაობაში“ ხედავს გამოსავალს. „ტაქსებზე თვითდასაქმებულთა რიცხვი 80-დან 100 ათასამდეა,“- ამბობს შალვა ოგბაიძე. მისი აზრით, თვითდასაქმებულ ტაქსთა მომრავლებას აუცილებლად სჭირდება დარეგულირება. „მე ვისურვებდი, რომ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურმა შეიმუშაოს გეგმა, თუ როგორი წარმოუდგენია თბილისის ტაქსი, როგორი მანქანები უნდა იყოს, რა ფერის, როგორი მძღოლები უნდა ჰყავდეს და ა.შ. ეს მდგომარეობას მეტ-ნაკლებად დაარეგულირებს მოძრაობას, წინააღმდეგ შემთხვევაში, პრობლემის მოგვარება წარმოუდგენელია,“- ამბობს იგი.

22 დეკემბერს, თბილისის მერიაში სამუშაო შეხვედრა გაიმართა, სადაც დედაქალაქის საცობებისგან განტვირთვის რამდენიმე გეგმაზე ისაუბრეს. დავით ნარმანიამ განაცხადა, რომ შეიქმნება სპეციალური სამუშაო ჯგუფი, რომელშიც შევლენ მერიის, საკრებულოს, ეკონომიკის სამინისტროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები და ექსპერტები. დავით ნარმანიას თქმით, საწყის ეტაპზე ჩატარდება კვლევა სატრანსპორტო ნაკადებთან და საცობის გამომწვევ ძირითად მიზეზებთან დაკავშირებით.

აგრეთვე, ისაუბრეს დედაქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულ გზების განახლებასთან დაკავშირებულ პროექტებზე, რაც საცობების განტვირთვის ერთ-ერთი საშუალება იქნება. 2015 წელს გათვალისწინებულია პუშკინის ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობის აღდგენა და „ლაგუნა ვერეს“ მიმდებარე ტერიტორიის გაფართოება. თბილისის მერის თქმით, დედაქალაქის საცობებისგან განტვირთვის საშუალება იქნება ასევე შუქნიშნების პროექტი, რომელსაც მერია ახორციელებს. სპეციალურად ამისთვის იგეგმება დუბლინიდან უცხოელ ექსპერტთა-ჩამოყვანა და მათი გამოცდილების გაზიარება.

„მნიშვნელოვანია, რომ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაასრულოს თბილისის შემოვლითი გზის პროექტი, რათა სატრანზიტოდ მოძრავმა დიდმა სატრანსპორტო საშუალებებმა არ გადაკვეთონ დედაქალაქის ტერიტორია და შემოვლითი გზით წავიდნენ,“ - განაცხადა დავით ნარმანიამ.

ელზა ელბაქიძე

თბილისი- „სუფთა ქალაქი"

გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ უკვე დაასრულა მუშაობა კანონპროექტზე „ნარჩენების მართვის შესახებ“ და მის საჯარო განხილვას იწყებს. ნარჩენების მართვის კოდექსის XX მუხლის თანახმად, 2015 წლიდან ძალაში შევა დაჯარიმების სისტემა, რომელიც დაეკისრება იმ პირს, ვინც არასათანადო ადგილას დაყრის ნაგავს და დააბინძურებს გარემოს.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისა და გამოუყენებელი ნივთების თავიდან აცილება არც ისე რთულია, მაგრამ პრობლემის წინაშე ვდგებით მაშინ, როდესაც ამ ნარჩენებს არასწორ მიმართულებას ვაძლევთ და ამით ზიანს ვაყენებთ არა მარტო ბუნებას, არამედ საკუთარ თავსა და ჩვენ გარშემო მყოფ მოსახლეობასაც. თბილისიც მსგავსი პრობლემის წინაშე დგას. მოგვარდა ის საკითხი, რომელიც ქალაქიდან ნაგვის დროულ გატანას გულისხმობს, მაგრამ აქვე ვაწყდებით მეორე პრობლემას - სად მიდის ეს ნარჩენები?!

თბილისიდან გატანილი ნაგვის დამუშავება დედაქალაქთან ახლოს, კერძოდ, ლილოს დასახლებაში ხდება, რაც დიდ პრობლემას უქმნის ადგილობრივ და მის გარშემო სოფლებში მცხოვრებ მკვიდრ მოსახლეობას. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება სამგორის მეურნეობაში მდებარე სოფლებს: სააკაძეს, გამარჯვების ნაწილსა და ნარაგეს. ლილოს დასახლებაში მცხოვრები მარინა თინაშვილის გაცხადებით, სოფელი უკვე ორი წელიწადია ნაგავსაყრელიდან მომავალ უსიამოვნო სუნს ებრძვის, რომელიც მათს სახლებში აღწევს. მას ასეთ დროს საკუთარ ეზოში გაჩერება არ შეუძლია: „ვცდილობ, სახლში ვიყო, მაგრამ იქაც კი აღწევს სუნი,“- ამბობს ქალბატონი მარინა. მისი თქმით,

ნაგავსაყრელის გახსნის შემდეგ სოფელში მომრავლდნენ მწერები, ყვავები და ქვეწარმავლები, რაც დიდ საფრთხეს უქმნის აქ მცხოვრებ მოსახლეობას. ზაფხულში აქ გაჩერება შეუძლებელია. ძლიერი ქარის დროს ეზო პოლიეთილენის პარკებით ივსება. მოსახლეობის გარკვეული ნაწილი სიმსივნით არის დაავადებული, რის მიზეზადაც ნაგვისგან გამოწვეულ უსიამოვნო სუნს ასახელებს. ამის გამო რამდენიმე ოჯახმა დატოვა სახლი და თბილისში გადავიდა საცხოვრებლად.

ნაგავსაყრელი 2010 წელს აშენდა და მას შემდეგ მსგავსი სურათია წარმოდგენილი. „2013 წლის იანვარში სოფელ ლილოს მცხოვრებმა დაზარალებულმა მოსახლეობამ მოვაწყვეთ საპროტესტო აქცია, გადავკეტეთ პოლიგონთან მისასვლელი სამანქანო გზა, თუმცა ჩვენს მოთხოვნას იმის შესახებ, რომ ნაგავსაყრელი სხვა უსაფრთხო ადგილზე გადაიტანონ, არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია. ამით მხოლოდ ის დარღვევები შეამოწმეს, რაც ამ ნაგავსაყრელს ჰქონდა. იმით შემოიფარგლნენ, რომ მის მფლობელს ფულადი ჯარიმა დააკისრეს. თბილისის მერია გვპირდება, ეს პრობლემა 2015 წლის ბოლოსთვის მოგვარდება, მანამდე კი კვლავ მსგავს გაუსაძლის პირობებში მოგვიწევს ცხოვრება,“ - ამბობს მარინა თინაშვილი.

რთული საკითხის წინაშე დგას თბილისის მოსახლეობა. დაბინძურებული ქუჩები არანაკლებ პრობლემას იწვევს, განსაკუთრებით კი ხალხმრავალ უბნებში, სადაც არ კონტროლდება ტერიტორიები. ნინო იობიძე, რომელსაც სადგურის მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე ხშირად უწევს გავლა, ამბობს, რომ საღამოს აქ გადაადგილება საფრთხეს უქმნის ადამიანის ჯანმრელობას. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ დაასრულა მუშაობა კანონპროექტზე „ნარჩენების მართვის შესახებ,'' რაც 2015 წლიდან შევა ძალაში და ითვალისწინებს ჯარიმის დაწესებას იმ პირისათვის, ვინც დააბინძურებს გარემოს და რომლის კონტროლი დაეკისრება გარემოს დაცვის სამინისტროს, თვითმართველ ერთეულებსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამის ორგანოებს. გარემოს დაცვითი ზედამხედველობის ინსპექციის მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი, ნელი კორკოტაძე, ამბობს, ჯარიმა დაეკისრება იმ პირს, რომელიც გარემოს დააბინძურებს სამშენებლო მასალებით, ინერტული და სხვა სახის მასებით, ასევე ტრანსპორტირების პროცესში გარემოს დაანაგვიანებსო. ჯარიმა იწყება 50 ლარიდან, ზედა ზღვარი ჯერჯერობით არ არის დაკონკრეტებული, ეს დადგინდება მაშინ, როდესაც კანონპროექტი პარლამენტში შევა განსახილვეად.

მსგავსი კანონი ხელს შეუწყობს თბილისს, რომ გახდეს სუფთა ქალაქი. ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ქვეყანაში წლების განმავლობაში არ არსებობდა კომპლექსური მიდგომა ნაგვის დამუშავებასთან დაკავშირებით. დღეს ეს საკითხი სახელმწიფოს ყურადღების ქვეშაა. მაქსიმალურად გამკაცრდება ნაგვის დაყრასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ჯარიმები, რაც დადებითად იმოქმედებს როგორც ბუნებაზე ასევე მოსახლეობის ჯანმრთელობასა და ქალაქის სისუფთავეზე.

თამარი ეძგვერაძე

უწარწერო კარებს მიღმა

ვარდების მოედანზე, ველოსიპედის ძეგლის მოპირდაპირე მხარეს, ერთი, უწარწერო მინის კარია. თუ არ იცი შიგნით რა ხდება, იქ შესვლა აზრად არასდროს მოგივა და, შესაძლოა, კარი ვერც შენიშნო. კვირის სხვა დღეებისგან განსხვავებით, იგი ხუთშაბათობით გვიანობამდე ღიაა, რადგან ფორმალური ლექციების შემდეგ, სტუდენტები აქ არაფორმალური განათლების მისაღებად მიდიან. მინის უწარწერო კარს მიღმა საშუალო ზომის დარბაზია. აქ, ხან ლევან გიგინეიშვილი, გიორგი მაისურაძე, ლევან ბერძენიშვილი, ან ვინმე, უფრო ნაკლებად ცნობილი დაგხვდება. ლექციები იმ პროექტის ფაგლებში ტარდება, ცოტა მოუხერხებელი სახელი რომ ჰქვია - ლიბერალიზმის სასწავლო ცენტრი. მოკლედ, ლიბცენტრს ეძახიან.

აუდიტორია ზოგჯერ გადავსებულია, ზოგჯერ - ნაკლებად. ეს იმაზეა დამოკიდებული, ვინ კითხულობს ლექციას. დამსწრე უამრავი სტუდენტისგან ოცს, სხვებთან შედარებით, უპირატესობა აქვს - ისინი ,,ლიბცენტრის" წევრები არიან.

,,ლიბცენტრი“ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის პროექტია, რომელიც 2013 წლიდან ხორციელდება, ამერიკული დონორი ორგანიზაციის ,,ეროვნული ქველმოქმედება დემოკრატიისთვის“ ფინანსური მხარდაჭერით. ცენტს დავით კლდიაშვილი ხელმძღვანელობს.

,,ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება და სამოქალაქო საზოგადოების გააქტიურება კეთილი ნების მქონე საერთო საქმეა, ამ პროექტით მე და ცენტრის სხვა წევრებს, მასში ჩადებული შრომითა და მონდომებით, ჩვენი წვლილი შეგვაქვს. მიმაჩნია, რომ რაღაც უნდა ვაკეთოთ არა მხოლოდ პირადი, არამედ, საერთო კეთილდღეობისთვის. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ამ პროექტში მონაწილეობა“ - აცხადებს დავით კლდიაშვილი.

,,ლიბცენტრში“ სტუდენტები ესწრებიან ცენტრის მიერ ორგანიზებულ საჯარო ლექციებს, გეგმავენ დისკუსიებს, სადაც ამა თუ იმ პრობლემაზე სპეციალისტებთან ერთად მსჯელობენ, ატარებენ გამოკითხვებს, მუშაობენ გადაცემებზე (LibTime) და წერენ ბლოგპოსტებს, რომლებიც ცენტრის ბლოგზე იტვირთება (http://liberalizmi.wordpress.com/). ცენტრის წევრი სტუდენტების ნამუშევრები აქტუალურ თემებსა და პრობლემებს ეხება. წერენ ადამიანის უფლებებზე, გამოხატვის თავისუფლებაზე, რელიგიურ ტოლერანტობასა თუ სხვა პრობლემებზე, მათი თვალით დანახულ სამოქალაქო საზოგადოებაზე, ქვეყნის პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მდგომარეობაზე და ა.შ.

კობა მჭედლიშვილი 2 თვეა, რაც ლიბერალიზმის სასწავლო ცენტრის სტუდენტია. აქამდეც ხშირად ესწრებოდა პროექტის ფარგლებში გამართულ საჯარო ლექციებს, კითხულობდა სტუდენტთა სტატიებს და გადაწყვიტა თვითონაც გამხდარიყო ,,ლიბცენტრელი”. ,,ჩემთვის ლიბცენტრი პირველი ჟურნალისტური პროექტია, რომელიც არასაუნივერსიტეტო სივრცეში ხორციელდება და იმას, რაც რამდენიმე წლის მანძილზე უნივერსიტეტმა თეორიული ცოდნის სახით მომცა, პირველად ვიყენებ პრაქტიკულ საქმიანობაში. არ ჰგავს ტიპურ სტაჟირებას, როდესაც მკაცრ დედლაინში მასალა უნდა მოამზადო და აქ არასდროს გრჩება განცდა, რომ გამოგიყენეს, ამიტომ ჩემთვის ძალიან კომფორტულია ამ პატარა გუნდში საქმიანობა. პროექტი 2 თვეზე მეტია, ხორციელდება და ჩემს მოლოდინებს ნამდვილად ამართლებს,“ - ამბობს კობა მჭედლიშვილი.

ლიბერალიზმის სასწავლო ცენტრის კოორდინატორი, ჟურნალისტი ნატა ძველიშვილია. მას პროექტში მონაწილეობა, თამარ კორძაიამ შესთავაზა: ,,ისე დავთანხმდი, პროექტი წაკითხული არ მქონდა და არც ჩემი მოვალეობები ვიცოდი. აღმოჩნდა, რომ ცენტრისთვის უნდა მეხელმძღვანელა. ეს იყო პირველი სერიოზული პროექტი ჩემთვის. რამდენჯერმე ვკითხე კიდეც თამარ კორძაიას, დარწმუნებული ხარ, რომ მე ამ ცენტრის ჩამოყალიბებას შევძლებ-მეთქი. რატომღაც სჯეროდა,“- იხსენებს ნატა ძველიშვილი.

სტუდენტები გასაუბრების გზით შეირჩევიან. როგორც ცენტრში აცხადებენ, ყველაზე მნიშვნელოვანი, სწორედ მათი შერჩევაა.

,,ორი მნიშვნელოვანი ეტაპია - სტუდენტების შერჩევა და შემდეგ მათთან მუშაობა. თუ პირველს არ გააკეთებ სწორად, მეორე არ იქნება შედეგიანი. ამიტომაც ყველაზე ძალიან გასაუბრების ეტაპს განვიცდი ხოლმე. თითოეულ აპლიკანტზე უნდა მქონდეს დასაბუთებული პასუხი რატომ ავირჩიეთ ან არ ავირჩიეთ,“ - აღნიშნავს ნატა ძველიშვილი.

ცენტრი აპირებს ლექციების ბეჭდური სახით გამოცემას, რაც პროექტის დასასრულისთვის იგეგმება და რის განხორციელებაში სტუდენტებიც მონაწილეობენ. ,,საუკეთესო ლექციები ირჩევა, კეთდება მისი ტრანსკიფტი, რედაქტირდება და ამ გზით სულ სხვა ხიბლს იძენს თემა, რომელსაც ესა თუ ის ლექტორი განიხილავს ლექციაზე. წიგნის გამოცემა პროექტით გათვალისწინებული არ არის. ამიტომ, ჯერ კიდევ უცნობია დონორი ორგანიზაცია დააფინანსებს თუ არა წიგნის იდეას. უარყოფითი პასუხის შემთხვევაში, ცენტრის წევრები საკუთარ ხარჯებს გავიღებთ ამ ჩანაფიქრის განსახორციელებლად,“ - ამბობს დავით კლდიაშვილი.

პროექტი 2015 წლის იანვარში სრულდება. კურსი 6 თვიანია და მის ფარგლებში 60-მდე სტუდენტმა უკვე გაიარა უფასო სასერთიფიკაციო კურსი, ხოლო ნაწილი ახლაც ჩართულია სწავლის პროცესში. ცენტრი დაარსებიდან დღემდე ავითარებს რესურსებს, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს თავიანთი შესაძლებლობები გამოიყენონ და იდეები განახორციელონ.

ქეთევან კანდელაკი

საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების მე-6 ფორუმი

24-25 დეკემბერს ექსპო ჯორჯიას საგამოფენო პავილიონში საქართველოს ახალგაზრდული ორგანიზაციების რიგით მე-6 ფორუმი გაიმართა. ფორუმის ორგანიზატორები სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, მშვიდობისა და განვითარების აკადემია და ფორუმის პარტნიორი არასამთავრობო ორგანიზაციები იყვნენ.

ფორუმში 167-მა არასამთავრობო ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა, რომლის მიზანი თანამშრომლობა, საქმიანობისა და სიახლეებიის გაცნობა იყო.

საქართველოს ახალგაზრდული ფორუმი უკვე მე-6 წელია ტარდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და მშვიდობისა და განვითარების ფონდის ინიციატივით. წელს იგი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის მოადგილემ, შოთა ბრეგაძემ გახსნა. მან ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს წარუდგინა წლის ანგარიში ერთობლივად განხორციელებული პროექტების შესახებ, აგრეთვე გააცნო ფორუმის მიზნები და სამინისტროს სამომავლო პროგრამები. დღის მეორე ნახევარში ორგანიზაციების გამოფენა-გაცნობა გაიმართა.

25 დეკემბერს, ორგანიზაციების წარმომადგენლებმა ერთობლივად შეიმუშავეს დოკუმენტი არაფორმალური განათლების შესახებ.

როგორც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი, ლევან ყიფიანი აცხადებს, ფორუმი საუკეთესო საშუალებაა იმისთვის, რომ ორგანიზაციებმა ერთმანეთს იდეები გაუზიარონ და ერთობლივად განახორციელონ პროექტები.იგი ხელს უწყობს არაფორმალური განათლების სისტემის განვითარებასაც.

„ყოველწლიურად მიმდინარეობს ცვლილებები ფორუმის დაგეგმვაში. ჩვენც ვარჩევთ აქტუალურ თემას და სამუშაო ჯგუფებში განვიხილავთ. ვდებთ ცვლილებებს არაფორმალური განათლების კუთხით კონსტიტუციაში,“ - აღნიშნავს გიორგი კაკულია, მშვიდობისა და განვითარების აკადემიის წარმომადგენელი, პროექტის ერთ-ერთი ინიციატორი.

ორგანიზაციების სამუშაო სფერო და ინტერესი საკმაოდ მრავალფეროვანია. ფორუმის ფარგლებში გამართულ გამოფენაზე შეხვდებოდით როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „სკაუტებს“, ასევე ორგანიზაციებს, რომლებიც ლიდერული უნარ-ჩვევების განვითარებაზეა ორიენტირებული. ერთ-ერთი მათგანია არასამთავროობო ორგანიზაცია „დავითიანის ფსიქოლოგიური ცენტრი“, რომელიც მუშაობს ინდივიდუალური და ჯგუფური ფსიქოკონსულტაციებისა და ფსიქოთერაპიის მიმართულებით.

„ცენტრის მიზანია სხვადასხვა აქტივობის დაგეგმვა და განხორციელება ფსიქოლოგიური მიმართულებით, ახალგაზრდებში ფსიქოლოგიის პოპულარიზაციის ზრდა და ცნობიერების ამაღლება. ჩვენ გვყავს როგორც ქართველი, ასევე უცხოელი ფსიქოლოგები, რომლებიც მუშაობენ ახალგაზრდებთან,“ - აცხადებს „დავითიანის ფსიქოლოგიური ცენტრის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის თანამშრომელი მარიამ გოგონელი.

ფორუმის ერთ-ერთი მონაწილე ორგანიზაცია „ჰერა 21“-იცაა. იგი ორიენტირებულია ადამიანთა ინფორმირებულობაზე ჯანსაღი ცხოვრების სტილის შესახებ. ორგანიზაცია 2007 წლიდან ახორციელებს სხვადასხვა პროექტს ამ მიმართულებით.

„სასიამოვნოა ორგანიზაციების ესეთი ჩართულობა ფორუმში. ჩვენ უკვე მე-3 წელია აქტიურად ვთანამშრომლობთ ფორუმთან,“ - ამბობს „ჰერა 21“-ის წარმომადგენელი მაგდა კოსტავა.

ორგანიზაციებმა ტრადიციულად განიხილეს წლის აქტუალური თემა და შეიმუშავეს არაფორმალური განათლების კომპეტენციების ჩარჩო.

მარიამ ქარენაშვილი

დასუფთავების აქცია თსუ–ის ტერიტორიაზე

22 დეკემბერს თსუ-ის მიმდებარე ტერიტორიაზე დასუფთავების აქცია ჩატარდა. აქციაში მონაწილეებდნენ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები. სწორედ მათი იდეა იყო დაბინძურებული ტერიტორიის დასუფთავება, რომლის განხორციელებაც გარემოს დაცვითი ორგანიზაციის „Ecovision-ისა“ და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის დახმარებით გახდა შესაძლებელი. „Ecovision-ის“ წარმომადგენლებმა სტუდენტებს სპეციალური მაისურები, ხელთათმანები და პარკები დაურიგეს.

„სამწუხაროა, რომ საჭირო გახდა მსგავსი ტიპის აქციის ჩატარება და სამოქალაქო თვითშეგნება სათანადო დონეზე არ არის. იმედია, სანამ სიტუაცია გამოსწორდება, ბევრი სტუდენტი ჩაერთვება მსგავსი ტიპის აქციაში,“ - განაცხადა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ, გვანცა გავაშელმა.

სტუდენტები, დაახლოებით, ორი საათი მუშაობდნენ. ამ დროის განმავლობაში მათ დიდი რაოდენობით პლასტმასისა და შუშის ბოთლები, ალუმინის ქილები, პოლიეთილენის პარკები და სიგარეტის ნამწვავები შეაგროვეს. აქციის ერთ-ერთი მონაწილე, ვაკო ჩანჩიბაძე პრობლემის გამოსწორების გზებზე საუბრობს: „პრობლემა რომ გამოსწორდეს, პირველ რიგში, ხალხმა უნდა გააცნობიეროს, რომ ბოთლის გადაგდება ნაგვის ურნაში უფრო მარტივი და სწორია, ვიდრე დაბინძურებული გარემოს დასუფთავება. თუ მსგავსი აქციები კიდევ ჩატარდება, შესაძლებელია უფრო მეტი ადამიანი დაფიქრდეს და გარემოს უფრო მეტად გაუფრთხილდეს.“

სტუდენტები ამაზე გაჩერებას არ აპირებენ და სამომავლოდ კვლავ გეგმავენ მსგავსი ტიპის აქციებით გარემოს დაცვის პროპაგანდის გაგრძელებას.

გიორგი როგავა

კიბერშეტევა SONY PICTURE-ზე

25 დეკემბერს, „სონი“ (Sony Pictures Entertainment), ამერიკული მულტინაციონალური ტექნოლოგიური და მედია კონგლომერატი, პოლიტიკური კომედიის- „ინტერვიუს“- გამოშვებას გეგმავდა, თუმცა ფილმის დისტრიბუცია ტერორიზმის საფრთხის თავიდან ასაცილებლად შეჩერდა.

ფილმში ჰოლივუდის ვარსკვლევები - სეთ როჯენი და ჯეიმს ფრანკო მონაწილეობენ. სიუჟეტის მიხედვით, დაზვერვის ცენტრალურმა სააგენტომ ჟურნალისტსა და მის პროდიუსერს ჩრდილოეთ კორეის ლიდერ კიმ ჩენ ინის მკვლელობა დაავალა.

ნოემბრის ბოლოს, „ინტერვიუს“ გამოშვების წინ „სონიზე“ მასშტაბური კიბერშეტევა განხორციელდა. ფილმები ინტერნეტით არალეგალურად გავრცელდა, გახმაურდა კომპანიის შიდა დოკუმენტები - ინფორმაცია დაქირავებულთა ხელფასებზე, სოციალური დაცვის ნომრებსა და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

ჰაკერებმა, რომლებიც საკუთარ თავს „მშვიდობის დამცველებს“ (Guardians of Peace) უწოდებენ, ხალხი გააფრთხილეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ წასულიყვნენ ფილმის სანახავად და 11 სექტემბრის მსგავსი იერიშებით დაიმუქრნენ.

შედეგად, „სონის“ წარმომადგენლებმა 17 დეკემბერს განაცხადეს, რომ პოლიტიკური კომედიის საჯაროდ ჩვენება, გაურკვეველი ვადით გადაიდო.

აშშ-ის ოფიციალურმა პირებმა კიბერშეტევაში ეჭვმიტანილად ჩრდილოეთ კორეა გამოაცხადეს.

ჩრდილოეთ კორეის პოზიცია:

ჩრდილოეთ კორეა ფილმში თავიანთი ლიდერის, კიმ ჩენ ინის, მკლველობის მცდელობამ აღაშფოთა. მას შემდეგ, რაც ეფ-ბი-აიმ „სონის“ კიბერშეტევაში ეჭვი ჩრდილოეთ კორეაზე აიღო, ეს უკანასკნელი მუდმივად უარყოფდა ამ მოვლენასთან კავშირს.

ჩრდილოეთ კორეის წარმომადგენლებმა შაბათს განაცხადეს, რომ აშშ მათთვის დანაშაულის დაბრალებას ცდილობდა და სურვილი გამოთქვეს, ერთად გამოეძიებინათ ჰაკერობის ფაქტი. კვირას მათ უკვე ნაკლებად შემრიგებლური პოლიტიკის გატარება დაიწყეს, აშშ-ის ადმინისტრაცია ფილმის შექმნის ერთ-ერთ ინიციატორად გამოაცხადეს და იერიშითაც დაიმუქრნენ.

ობამას პოზიცია:

სი-ენ-ენთან ინტერვიუში აშშ-ის პრეზიდენტმა მომხდარ ფაქტს კიბერვანდალიზმი უწოდა, რომელიც ძალიან ძვირად დაუჯდათ. ობამას თქმით, შტატებმა, შესაძლოა, ჩრდილოეთ კორეა იმ ქვეყანათა სიაში დააბრუნოს, რომლებიც ტერორიზმს აფინანსებენ.

პრეზიდენტმა დაგმო „სონის“ ქმედება და მათ მიერ ფილმის გამოსვლის შეჩერებას შეცდომა უწოდა.

„თუ ჩვენ პრეცედენტს დავუშვებთ, რომ სხვა ქვეყნის დიქტატორს შეეძლება კიბერშეტევით ხელი შეუშალოს კომპანიის და მისი ფილიალების პროდუქციის დისტრიბუციას, მაშინ ჩვენ საკუთარი თავისთვის ცენზურის დაწესებას დავიწყებთ და ეს უკვე პრობლემაა,“-აღნიშნა ბარაკ ობამამ.

„სონის“ პასუხი ობამას:

„სონის“ აღმასრულებელმა დირექტორმა, მაიკლ ლინტონმა, კომპანიის ქმედების გამართლება სცადა და კინოთეატრებს გადააბრალა ფილმის ჩვენების დაბლოკვა. მან ასევე დასძინა, რომ შესაძლოა პოლიტიკური კომედია სამომავლოდ საზოგადოებას ინტერნეტის მეშვეობით წარუდგინონ: „ჩვენ ყოველთვის გვქონდა სურვილი ამერიკულ საზოგადოებას ეს ფილმი ენახა, „სონი“ ეძებს ახალ გზებს ფილმის დისტრიბუციისთვის.“

ჩინეთის პოზიცია:

ჩრდილოეთ კორეას ინტერნეტი მეზობელი ჩინეთის გავლით მიეწოდება. ბარაკ ობამამ ჩინეთს ჩრდილოეთ კორეის ჰაკერობასთან საბრძოლველად დახმარება სთხოვა. ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დაგმო კიბერშეტევის და კიბერტერორიზმის ფაქტები, თუმცა მეზობელი ქვეყანა არ უხსენებია.

არალეგალურად გავრცელებული ფილმები:

კიბერშეტევის შედეგად მოპარული ფილმები პოტენციურად გაუსაღებელ კინოთეატრების ბილეთებს ნიშნავს. მაგალითად, „Explicio-ს“ მონაცემებით, „სიბრაზე“- დრამა მე-2 მსოფლიო ომზე ბრედ პიტის მონაწილეობით - 2.3 მილიონმა ადამიანმა გადმოიწერა არაკანონიერად.

მუსიკალური დადგმა „ენი“, რომელშიც ჯეიმი ფოქსი მონაწილეობს, პრემიერამდე ორი კვირით ადრე 278, 000-ჯერ გადმოწერეს.

შიდა სამზარეულოს გამომზეურება:

ჰაკერებმა შიდა მიმოწერაც გამოააშკარავეს, რომლის მიხედვით, კომპანიის ზოგიერთ მომუშავე პერსონალს ყელში აქვს ამოსული „სონის“ მიერ გადაღებული მოსაწყენი, ფანტაზიას მოკლებული ფილმები.

გავრცელებული დოკუმენტაციით გამოჩნდა, რომ კომპანია არათანაბრად უხდის დასაქმებულ პირებს და ხელფასები რასისა და სქესის მიხედვით განსხვავდება. იმ 17 ადამიანიდან, რომელიც 1 მილიონ დოლარზე მეტს გამოიმუშავებს წელიწადში, მხოლოდ ერთი არის შავკანიანი და ასევე ერთია მანდილოსანი.

სალომე ფხალაძე

სუსტი სქესი სპარსული წარმომავლობით

საბი 21 წლის ირანელი გოგონაა, რომელიც ირანის თავისუფლების უნივერსიტეტში ბიოტექნოლოგიებს ეუფლება. სწავლის გაგრძელება უცხოეთში აქვს გადაწყვეტილი. მასთან პირველი შეხვედრისთანავე მიხვდებით, რომ ტრადიციულ სტერეოტიპთან არ გაქვთ საქმე.

ირანში ჩავსლისას „ხარეჯიჰას“, რომელიც ქართულად უცხოელს ნიშნავს, ხშირად გაიგონებთ. მით უმეტეს, ირანელი ქალების მხრიდან წარმოთქმულს. ეს არაფერს ნიშნავს, გარდა ინტერესს სხვა ქვეყნის წარმომადგენლის მიმართ. საბი ამ სიტყვას, ალბათ, ყველაზე იშვიათად იყენებს, რადგან მისთვის უცხოეთი არც ისე უცხოა. ვიწრო შარვალი, თითქმის მუხლებამდე დაშვებული ზედა კაბა და სათანადოდ შერჩეული ირანული თავსაბურავი მის ელეგანტურობას უსვამს ხაზს.

ქართველი მეგობრები მისთვის ძალიან ძვირფასია. საკუთარი ყოფის სხვისთვის გულახდილად გაზიარება შვებისმომგვრელად მიაჩნია. ირანიდან სამუდამოდ წამოსვლაზე არც კი უფიქრია. ეს ხომ ტრადიციული, მაგრამ მაინც თანამედროვე ქვეყანაა.

საკუთარი თავი ჩაგრული ქალის როლში ნაკლებად წარმოუდგენია. ამ კითხვის მოსმენისას მოტოციკლზე თამამად „ამხედრებულ“ ქალბატონზე მიმანიშნებს და ამბობს: „ჩვენ იმდენად თავისუფლები ვართ, რამდენადაც ამას თავად მოვინდომებთ, თუმცა, ეს იმას არ

ნიშნავს, რომ კანონებს პატივი არ უნდა ვცეთ“.

საბი ერთ-ერთი ირანელი გოგონაა, რომელიც დასავლური სტანდარტებით ჩაგრულ, გაუნათლებელ და უუფლებო არსებად უნდა წარმოვიდგინოთ. ფაქტები კი სხვაგვარად მეტყველებს. თეირანელი გოგონას ყოფა მცირეოდენით თუ განსხვავდება ლონდონელი თანატოლის ცხოვრების წესისგან. განსხვავება ისევ და ისევ სამოსსა და ტრადიციებშია, რაც, დამეთანხმებით, და ყველა ქვეყანას სხვადასხვაგვარი აქვს.

ისლამი ქალებს არ ატყვევებს, ყოველ შემთხვევაში, შიიტურ ირანში ეს ასეა. თუმცა, ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, 40 გრადუს სიცხეში თავსაბურავში გახვეულ ქალბატონს დატყვევებულად თუ არ ჩავთვლით.

„ქალები ბევრს, ძალიან ბევრს მუშაობენ, მაგრამ ხშირად მათ ვერ ამჩნევენ. არადა, ტიპური ირანელი ქალი ძალიან აქტიურია. უნივერსიტეტებში ბიჭებზე გაცილებით მეტი გოგონაა. ისინი კარგად სწავლობენ, მაგრამ მაინც უჭირთ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზება,“ - ამბობს ირანელი ქალი, რეჟისორი, მანიჯე ჰეკმატი.

ქართველი ჟურნალისტის, ეკა ნონიაშვილისა, არ იყოს, ირანში მოგზაურობისას მეც იგივე შთაბეჭდილება შემექმნა ქალების მიმართ. „ირანელი სტუდენტების 65 პროცენტს გოგონები შეადგენენ, ქალთა სიმცირე არც დასაქმებულთა შორის იგრძნობა, ყოველ შემთხვევაში, ჩემ მიერ გამოძახებული 5 ტაქსის მძღოლიდან სამი ქალი იყო, თანაც მომხიბვლელი, მაკიაჟითა და შეძლებისდაგვარად გაპრანჭულიც,“ - წერს ეკა ნონიაშვილი საკუთარ ჩანაწერებში.

თუმცა, ბუნებრივია, ირანი ქალთა უფლებების დაცვის დონით კვლავ ერთ-ერთ ბოლო ადგილზე რჩება. მაგალითისთვის ზნეობრივი პოლიციაც კმარა, რომელიც შედარებით უფრო მუსლიმურ და პატარა ქალაქებში მკაცრად აკონტროლებს ქალთა ჩაცმულობისა და ქუჩაში ქცევის წესებს. დიდ ქალაქებში კი, ხშირად, უფრო მეტ თავისუფლებას იგრძნობთ. მაგალითად, თეირანში სეირნობისას შეიძლება თვალი მოჰკრათ, ქალსა და მამაკაცს, რომლებიც ერთმანეთს კოცნიან.

ოჯახში ლიდერის პოზიცია, თითქმის ყოველთვის, ქალს უკავია და ბიუჯეტსაც თავად წარმართავს. საბის მოსაზრებით, ოჯახის საქმეების მართვა ქალის საქმე უფრაა, ვიდრე მამაკაცის. თუმცა, იგი ყველა შემთხვევაში გენდერული ბალანსის დაცვის მომხრეა.

ირანელი ქალი, როგორც წესი, კარგად ჩაცმული და მოვლილია. ერთადერთი ნაწილი, რომელიც ქუჩაში სეირნობისას სრულად უჩანთ, სახეა, ამიტომ სხეულის ამ მონაკვეთს ყველაზე მეტად უვლიან. ირანელი ქალის სახეზე პლასტიკური ოპერაციის კვალი ადვილი ამოსაცნობია. თავად ჩვენს გმირსაც ცხვირის ოპერაცია აქვს გაკეთებული, რაც ბოლო პერიოდის ირანში ორივე სქესის წარმომადგენლებისათვის მოდურად იქცა. ხშირად, მაღაზიის ვიტრინებში მანეკენებზეც კი შეამჩნევთ დოლბანდით შეხვეულ ცხვირს, რაც მოდასაყოლილი ირანელებისთვის წახალისების საშუალება გახდა.

ცნობილია რომ, ირანელი ქალები ევროპელებისა და ხშირად ქართველის გასაგონად ამბობენ - დასავლელი ქალი ქუჩაში იპრანჭება და შინ, საყვარელ მამაკაცთან, აჯაჯული დადისო, რაც მათ შემთხვევაში პირიქითაა. ირანელ ქალბატონებს სახლსა და კერძო წვეულებებზე ხელოვნებად აქვთ ქცეული სხეულის ლამაზი ნაწილის გამოჩენა, რაც, ალბათ, დასავლური სტერეოტიპების სრული ანტიპოდია.

„მე რაც ვნახე, საკმაოდ თავისუფლები, ემანსიპირებულნი არიან. თბილისში არ მინახავს იმდენი მძღოლი ქალი, რამდენიც თეირანში. მუშაობენ საკმაოდ პრესტიჟულ ფირმებში და, სავარუდოდ, კარგი შემოსავალიც აქვთ. რა თქმა უნდა, იქაც არის განსხვავება, ასეთი ქალების გვერდით თავიდან-ფეხებამდე ბურკაში გახვეულ მანდილოსნებსაც ნახავ. მაგალითად, ჩვენი საერთო საცხობრებლის ზედამხედველები ასე ჩაცმულები დადიოდნენ, მაგრამ საკმაოდ თავისუფ-

ლად აზროვნებდა ზოგიერთი მათგანი, ზოგიერთი კი, სამწუხაროდ, შეზღუდვების ბრმა მორჩილი იყო,“ - ამბობს ირანისტი სტუდენტი ანი კალაზვიაშვილი.

ასე რომ, საბი თანამედროვე ქალია, რომელიც ირანის ისლამური რესპუბლიკის მთავრობის დაწესებული შეზღუდვების მიუხედავად ცხოვრობწ ისე, როგორც მისი თანატოლები დასავლურ ქვეყნებში

გიორგი ურუშაძე

უკრაინა „ონ მაი მაინდ“

ბორტ W 6584-ში ტაშის ხმა გაისმა, ეს კი ნიშნავდა, რომ მშვიდობიანად დავეშვით. სანამ მივფრინავდით, ვაკვირდებოდი მგზავრებს, რადგან ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო იმ ადამიანებზე რამე მცოდნოდა, ვისთან ერთადაც შეიძლება მოვკდარიყავი. პილოტს ასეთი მშვენიერი დაფრენისთვის ტაში მეც დავუკარი და თვითმფრინავიდან ჩამოვედი. უკრაინაში პირველად ვიყავი. რა ვიცოდი მასზე? არც არაფერი. უბრალოდ სტატია უნდა დამეწერა, მაგრამ წინასწარ არაფერი წამიკითხავს ამ ქვეყანაზე, მის ისტორიაზე. და საერთოდ, არც მაინტერესებდა, რა ჰქონდათ მუზეუმებში. მე მათს ცხოვრებას მინდოდა დავკვირვებოდი, ადამიანები გამეცნო და ეს უფრო მეტს მომცემდა, ვიდრე ლამაზად დაწერილი ისტორია. ქვეყნის კულტურა ადამიანების ქცევით ვლინდება, ეს ხომ ძალიან მარტივია. მე კი ეს უფრო მაინტერესებდა.

პასპორტი სურათის გვერდზე გადავშალე და მესაზღვრეს გავუწოდე, რომელსაც სამხედრო ფორმა ეცვა. იმ ტერმინალში, სადაც მე ვიყავი, მესაზღვრეებმა ერთი ქალი მოიყვანეს. ისინი უკრაინულად საუბრობდნენ, მაგრამ გავარკვიე, რომ ეს ქალი ირანის მოქალაქე იყო და ამიტომ არ უშვებდნენ. არ ვიცი, იქნებ, ირანზე ჩვენი წარმოდგენები ზედმეტად სტერეოტიპულია. ირანის გაგონებისას ყველას ერთი რამ გვახსენდება - საფრთხე. მე ეს არ მომწონს, მაგრამ მისი დანგრევაც არ შემიძლია, რადგან თავადაც ამ სტერეოტიპით ვაზროვნებ, ამიტომ ვერაფერს ვიტყვი. ჩანთა ავიღე და „arraivals-ის“ კარებში გავედი.

ვიცოდი, აეროპორტში „დიადია გია“ უნდა დამხვედროდა. ის აქამდე ნანახი არ მყავდა, მაგრამ ნამდვილი „გრუზინი“ მაშინვე ვიცანი. „დიადია გია“ მამაჩემის მეგობარია და უკვე 21 წელია, რაც კიევში ცხოვრობს. მოკლედ, ის იმ თაობას წარმოადგენს, რომელმაც გაჭირვების დროს ქვეყანა ფეხებზე დაიკიდა და საზღვარგარეთ გაიქცა. ახლა კი ტირიან, საკუთარ სამშობლოში უნდათ ჩამოსვლა, მაგრამ იციან, რომ აქ ფულს ისე ვერ იშოვნიან, როგორც უცხოეთში, ამიტომ ისევ ტირილს ამჯობინებენ. მე მას დავაკვირდი და შემდეგ, როცა დავრწმუნდი, რომ ნამდვილად ის იყო, მივესალმე.

მანქანაში რომ ჩავჯექით, „ბარდაჩოკიდან“ „დიადია გიამ“ დისკი ამოიღო და მაგნიტოფონში ჩადო. საქეიფო ქართული სიმღერები ისმოდა. აი ისეთი, სადაც მაქსიმუმ სამი ნოტია და სიტყვები: ქეიფი, ვარსკლავები, ქალები და ღვინო - ყოველ ტაქტში ორჯერ მაინც მეორდება.

გზაზე „დიადია გია“ სულ სააკაშვილზე მესაუბრებოდა. როგორც ჩანს, მას პოლიტიკაზე საუბარი ძალიან უყვარდა. შეიძლება ითქვას, პოლიტიკაზე კი არა - სააკაშვილზე საუბარი. მივხვდი, რომ თუ ამ თემაზე საუბარში ავყვებოდი, ეს ყველაფერი კარგად არ დამთავრდებოდა. მაგრამ, როგორც ყოველთვის, ვერ მოვითმინე და როცა პირველი სიტყვა ცოცხი უნდა მეთქვა, მაშინ პოლიციელის სასტვენის ხმა გაისმა, რომელმაც ხელჯოხი დაგვიქნია და გაგვაჩერა. „დიდია გიამ“ თქვა, ოხ, ეს „გაიშნიკებიო.“ მე არც მახსოვდა, ბოლოს ეს სიტყვა როდის გავიგონე, რაღაც შორეულ მოგონებებში გადავეშვი, როცა ყოველ კილომეტრში „გაიშნიკები“ იდგნენ და გვაჩერებდნენ, მამას კი მათვის მართვის მოწმობა და მასში ჩადებული 2-მანეთიანი უნდა გაეწოდებინა.

„გაიშნიკი“ მოგვიახლოვდა. შეკითვაზე, რატომ გაგვაჩერა, რა თქმა უნდა, არ გვიპასუხა. დაიწყო მანქანის თვალიერება. ნახა, რომ ფარები ჩართული გვქონდა, მძღოლი ნასვამი არ იყო, ღვედი ეკეთა, შემდეგ მანქანას რამდენჯერმე შემოუარა. მუხრუჭზე ფეხიც კი დააჭერინა, „დიადია გიას“ რომ შეემოწმებინა, უკანა ფარები მუშაობდა თუ არა. როცა ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა, მან „ტეხასმოტრს“ დახედა და ისე გაუხარდა, რომ რაღაც ორგაზმისეული სიამოვნება აღიბეჭდა მის სახეზე - ვადა გასული იყო. „დიადია გიამ“ 50 გრინვა ამოიღო და ჯიბეში ჩაუკუჭა. „რას შვრებით?!“ - შეიცხადა „გაიშნიკმა“, მაგრამ მეორე 50 გრინვაზე დაცხრა. ჩვენ გზა გავაგრძელეთ.

შემდეგ „დიადიას“ მისმა შვილმა დაურეკა, რომელიც უკრაინის სხვა ქალაქში სწავლობს. მამამისს უთხრა, მათემატიკის ლექტორს სანამ ფულს არ მივცემ, მანამდე 5-იანს არ დამიწერსო. ნელ-ნელა ვხვდებოდი, რატომ უყვარდათ სააკაშვილი აქ, მაგრამ რატო არ გვიყვარს ჩვენ?! არ ვიცი.

სახლში მივედით. „დიადია გიამ“ სიამაყით მაჩვენა თავისი ქართული კუთხე. უგემოვნო ნახატები: გედი ჩანჩქერის ფონზე, თბილისის ხედები და თაროებზე ჩამწკრივებული განსხვავებული სასმელები. მისთვის ეს იყო ქართული კულტურა, ეს იყო საქართველო. მინდოდა მისთვის სიმართლის თქმა, მაგრამ ემიგრანტის ფაქიზ, ნოსტაგიით სავსე გულს ვერ შევეხე.

დიახ, კიევში ვიყავი. არც 37 მანეთად გადავფრენილვარ და ალბათ არც 20 წლის შემდეგ კარზე უნდა დავლოდებოდი ზარს და ფრაზას: „ზდრასტე, ვი მოი პაპა“. მამაჩემი ამაყობდა ჩემით, მე ხომ კიევში ვიყავი, თან ალბათ თავის ძმაკაცებთან „მარიაჟობდა“ და ეგონა, მათსავით მოვიქცეოდი - არცერთ ქალს არ „გავმაზავდი“ და მთელი უკრაინის ქალებს „გავაბედნიერებდი“.

ისე, კიევში, მართლაც, ლამაზი ქალები იყვნენ. მინუს 13 გრადუსი იყო, მაგრამ, თუ აქ კაცს შეცივდება, ესე იგი კაცი არ არის. მესამე დღეს ძალიან საინტერესო რამ გადამხდა: ღია მეტროსადგურში მატარებელს ველოდებოდი, როდესაც შევამჩნიე, მეორე მხარეს ერთი გოგო იდგა, რომელსაც ხელში ყავის ჭიქა ეჭირა და სიგარეტს ეწეოდა. ღამე იყო. ირგვლივ ჩვენ გარდა თითქმის არავინ არ იყო. ჩემი მატარებელი მოვიდა, მაგრამ, როცა უნდა ჩამჯდარიყავი, ვიფიქრე, შვილიშვილებისთვის რამე ხომ უნდა მქონდეს-მეთქი მოსაყოლი. მოვტრიალდი. ის ისევ იქ იდგა. გადავედი საწინაამდეგო მხარეს, მივუახლოვდი, არ მახსოვს, რა ვუთხარი, მაგრამ მახსოვს, რომ გაეცინა. მითხრა, რუსულად ძალიან სასცილოდ ლაპარაკობო და შემდეგ ისე ამაყად წარმოვთქვი „ია გრუზინ“, საკუთარ ქვეყანაში რომ ვარ, ასე არ მიხარია ხოლმე. ახლა გამახსენდა, რაც ვუთხარი: ყავა მინდა ძალიან, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში მარტო არასდროს დამილევია, კიევში კი არავის ვიცნობ-მეთქი. მან გაიცინა და მანიშნა, გვერდით მომიჯექიო. აქამდე ქალებთან ფილოსოფიურ თემებზე ვსაუბრობდი და ეს მსიამოვნებდა, მაგრამ რუსულად რთული სიტყვები არ ვიცი, ამიტომ მას სახელი ვკითხე, ჰყავდა თუ არა და ან ძმა, რამდენი წლის იყო და მსგავსი ბანალურობები. მაგრამ, თურმე, იმისათვის, რომ ადამიანთან კარგად იგრძნო თავი, სულ არ ყოფილა საჭირო მაღალფარდოვანი აზრები, მითუმეტეს სიტყვები... ჩვენ მშვენივრად ვგრძნობდით თავს. ჩემმა ძმაკაცმა წამოსვლისას მითხრა „მე საჩუქარი არ მინდა, უბრალოდ, ისეთი სურათი ჩამომიტანე, სადაც ორ უკრაინელ გოგოზე გექნება ხელი გადახვეული, მათ კი ისეთი მოკლე და ვიწრო კაბები ეცმევათ, რომ წელზე ასკდებოიდეთო“. მაგრამ მან ვერ გაითვალისწინა, რომ ახლა ზამთარია, მინუს 13 გრადუსი და გოგოებს მოკლე კაბები არ აცვით. მაგრამ, მისი რა ბრალია, სტერეოტიპია ასეთი. არა, ხალხო, უკრაინა ბორდელი არაა. აქ შეიძლება გულწრფელი გრძნობები გაგიჩნდეს, აქ შეიძლება ძალიან ლამაზი გოგო გაიცნო, მაგრამ არც წარმოიდგინო, როგორი იქნება საწოლში. უბრალოდ, მასთან ყავა დალიო, ისაუბრო ამ ქვეყანაზე ყველაზე მარტივი სიტყვებით და ძალიან დიდი საიმოვნება მიიღო... შემდეგ მას სიგარეტი გაუთავდა, მე ვუთხარი, მოგიტან-მეთქი... მეტროდან გამოვედი, მაღაზია ძალიან შორს იყო და უკან მიმავალ გზას ვერ მივაგენი. დავიკარგე. 20 წუთის შემდეგ მივედი, მაგრამ ის უკვე წასული იყო. „მშვენიერი დღე იყო,“- გავიფიქრე და მეტროს ვაგონში ჩავჯექი.

დიახ,მე დავარღვიე სტერეოტიპი. კიევში ვიყავი, გრძელფეხება უკრაინელი ქალის გვერდით და ქართველ ქალზე ვფიქრობდი, ერთზე... მეტროს ვაგონი დაიძრა.

დანარჩენი დღეები ჩემი უკრაინელი მეგობრის ცოლთან გავატარე. თვითონ მუშაობდა, ამიტომ მთელი კიევი ლენამ დამათვალიერებინა. მოგზაურობა „კიევი-პეჩორის ლავრა-თი“ დავიწყეთ, რომელიც მიწისქვეშა მონასტრების კომპლექსია. ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ქრისიანული სიწმინდეა, მაგრამ სანამ ამ მღვიმეში შევიდოდით, გიდმა ეკლესიები დაგვათვალიერებინა. ის გაუთავებლად საუბრობდა ამ ტაძრების ღირსშესანიშნაობებზე, მათს უნიკალურობაზე. ეს ტაძრები ბაროკოს სტილში იყო გადაწყვეტილი, მოოქროვილი, მოჩუქურთმებული. თითოეული კედელი, ფრესკა თუ ხატი ხელოვნების ნამდვილი ნიმუში იყო, მაგრამ მე ვგრძნობდი ერთ რამეს, რომ აქ ლოცვა არ მინდოდა. ტაძრიდან ისე გამოვედი, რომ პირჯვარიც არ გადამიწერია. მახსენდებოდა ქართული ქრისტიანული კულტურა, რომლის გენიალურობა მის სისადავეში ყოფილა, მის პრიმიტიულ, ბავშვურ კომპოზიციებში... შემდეგ კი „კიევიპეჩორის ლავრაში“ ჩავედით და მივხვდი, რომ იქ, სადაც ღმერთი არ მოიაზრება, ის ვერ შეიძლება დიდებული იყოს. ეს მღვიმე კი დიდებული იყო იმ მხრივ, რომ შენ იმ ლაბირინთებში სიარულისას შენს თავს პოულობდი. ჩემი სანთელიც ჩაიწვა და სამყაროს დავუბრუნდით.

შემდეგ დღეს უკვე მარტო დავხეტიალობდი ქალაქში. თეატრის ბილეთი ისე ავიღე, არც ვიცოდი, რა სპექტაკლი იყო. ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, მაინც ვერ გავიგებდი. გასაკვირი რამ მოხდა - სპექტაკლიდან არაფერი მესმოდა, მაგრამ ყველაზე კარგად რეჟისორი სწორედ მაშინ დავინახე. არანაირი სიბრძნე სიტყვებით, ხელოვნება სიტყვები არაა, ხელოვნება გამოსახვაა, ესთეტიკაა. ყველაზე დიდი სიამოვნება სწორედ მაშინ მივიღე, როცა ვერცერთი სიტყვა მერ გავიგე.

თუ თბილისში თეტრში მხოლოდ პაემნებზე დადიან, აქ უმეტესობა ხანშიშესული ხალხი იყო, ძირითადად პენსიონერები. აბა, ჩვენს ბებიებს თეატრში რა უნდათ! რომ შეეკითხები, რატომო, გეტყვის, რა დროს ჩემი თეტრში სიარულია, სპექტაკლებზე თქვენ, ახალგაზრდებმა უნდა იაროთ და გაერთოთო. მათ ურჩევნიათ, სახლში დაგვხვდნენ და საჭმელი მოგვიმზადონ, ეს მათი მთავარი მოვალეობა ჰგონიათ.

ლენამ მითხრა, მანქანით წაგიყვან, სადაც გინდაო, მაგრამ მე უარი ვუთხარი. მინდა ქალაქში უბრალოდ ვიხეტიალო-მეთქი. იქაური „მარშუტკით“, მეტროთი ვმგზავრობდი. ვაკვირდებოდი მათ ქცევებს ბილეთის აღებისას, გაჩერებისას როგორ მიმართავენ მძღოლს და მახსენდებოდა ჩვენთან რომ ზიზღით ეუბნებიან მძღოლს, გააჩერეო. იქნებ, სწორედ ესაა კულტურა და არა მრავალჟამიერი. როგორც მედეა არაა დღეს ქართველი ქალი, ისე არც ჩვენ ვართ მრავალჟამიერის ავტორები და თუ მრავალჟამიერს ყოველ საუკუნეში რამე არ დავუმატეთ, მაშინ წარმოიდგინეთ, რომ იმ საუკუნეში არ გვიცხოვრია.

ბოლო დღეს ლენას მეგობრებთან ერთად რესტორანში ვიყავი. ადგილი ძლივს ვიშოვეთ. ქართველი ოფიცრები უკრაინაში მიდიან, რომ მეგობარ ხალხს დაეხმარონ, იდეისთვის სიცოცხლე გაწირონ, უკრაინელები კი ომის დროს თეატრში დადიან, რესტორნები სავსეა ხალხით, ტელევიზიით გადის გასართობი გადაცემები. არ ვიცი, შეიძლება, ეს ხალხი ჩვენ ბევრი რამით გვჯობს, მაგრამ ერთი რამ ვიცი, როცა აგვისტოს ომი იყო, მაშინ ქობულეთში ვიყავი ჩარჩენილი და, მახსოვს, ჩემი მეზობელი პატარა ბავშვი როგორ არ ბანაობდა ზღვაზე.

ჩამოვედი სახლში. სამზარეულოში ყავას ვსვამ და ვუყურებ მაგნიტს მაცივარზე, რომელზეც ქალაქი კიევია გამოსახული. რა იყო კიევი ჩემთვის?! იქნებ, პირველი ადგილი, სადაც საქართველოს სხვა თვალით შევხედე. იქნებ, პირველად სწორედ მაშინ გავაცნობიერე, რომ სხვა საქართველო კი არა, ის საქართველო, სადაც ვცხოვროთ მალე აღარ გვექნება. ალბათ, კიდევ ბევრი რამ გავაცნობიერე, მაგრამ ვხედავ, რომ უკვე ფურცლის ბოლოს ვუახლოვდები და მეშინია, ახალი ფურცლელი ასე ვერ გავავსო, არ ვიცი... მეშინია, ნელ-ნელა ის, რასაც სკოლის მასწავლებები ჩამჩიჩინებდნენ, ჩემთვის მნიშვნელობას კარგავს. არ მჯერა ჩვენი თავის, ჩვენ ხომ ის ხალხი ვართ, ვინც მრავალჟამიერი გავყიდეთ. რაც შეეხება კიევს, ის ყოველთვის დარჩება „ონ მაი მაინდ“.

ბადრი ცხომარია



ქალი ეპისკოპოსი

პირველად განათლების სამინისტროში შევხვდით ერთმანეთს. მრავალჯერ მომიბოდიშა დაგვიანებისთვის, ინტერესით უსმენდა ჩემს საუბარს. მიუხედავად იმისა, რომ მისთვის უცხო ვიყავი, ეს სრულიად არ მიგვრძნია. სამინისტროში სხვადასხვა რელიგიური კონფესიის წარმომადგენლები და არასამთავრობო ორგანიზაციები შეიკრიბნენ. შეხვედრის დასრულების შემდეგ, მან თბილად მოიკითხა მუსლიმი და ქრისტიანული დენომინაციების წევრები. გაიხუმრა კიდეც: ,,შობის აღნიშვნა ხაგრძლივი გამოგვივა. ჯერ ჩვენთან ბაპტისტებში, მერე მუსლიმებში და ასე მიყოლებით.“

ეს რუსუდან გოცირიძეა. ორი შვილის დედა, ექსპერტი გენდერის საკითხებში და საქართველოში პირველი ხელდასხმის ქალი ეპისკოპოსი ბაპტისტურ-ევანგელისტურ ეკლესიაში. საკმარისია ერთხელ დაინახოთ, რომ შეუმჩნეველი არ დაგრჩებათ მისი უშუალობა, კეთილი, ღრმა თვალები, სიფრთხილით წარმოთქმული სიტყვები და განსაკუთრებული დამოკიდებულება მოსაუბრისადმი. ადამიანი, რომელიც, აქტიური ცხოვრების წესისა და დატვირთულობის მიუხედავად, ყველასთვის პოულობს დროს, ყველასთვის იცლის, ყველას პასუხობს კითხვებზე და თანხმდება დახმარების თხოვნაზე.

ბავშვობა

ბავშობის წლები ბედნიერად ახსენდება. მოგონებების ერთი ნაწილი, მშობლებთან და დედმამიშვილებთან ერთად გატარებული პერიოდი, ძალიან ხმაურიანი და აქტიური იყო. ხოლო მეორე - ბებია-პაპასთან, მშვიდი, წყნარი და ემოციური. დედას თბილად იხსენებს, ვმეგობრობდითო, ამბობს. „დედას ზოგჯერ ტუქსავდნენ კიდეც, თავისი შვილებისადმი ლოიალურობის გამო. ყოფილა შემთხვევა, „შატალოდან“ წამოსულებს დედასთვის დაგვიტოვებია ჩანთები და გზა გაგვიგძელებია. მისგან ფარულად არ მახსოვს რაიმე გამეკეთებინოს.“ დედასთან ერთად ხატავდა, დადიოდა თოჯინების თეატრში. შვილების აღზრდისას სწორედ ამ მოდელს იყენებს, თუმცა დედისგან განსხვავებით, თავად საკმარისად ვერ იცლის. მკაფიოდ ახსოვს ასევე პაპასთან, რომელიც ბაპტისტური ეკლესიის ხუცესი იყო, როგორ მოდიოდნენ სტუმრები, როგორ უზიარებდნენ წუხილსა და სადარდებელს. ახსოვს პაპის ცრემლებიც, გამოწვეული მრევლის სატკივარით და მისი მოყოლილი ბიბლიური ზღაპრებიც. შთაბეჭდილებების ქვეშ იყო, როდესაც აღსარებების მოსმენისას ატირებულ პაპას ხედავდა.

თითქოს, მისი ცხოვრების წლები, ირიბად თუ პირდაპირ, გაბმული ძაფებია ეკლესიისადმი. უფალთან მიახლოების სურვილმა გადააწყვეტინა, 16 წლის ასაკში მონათლულიყო. ხშირად ეკითხებიან, ხუცესის ოჯახში რომ არ დაბადებულიყავი, იქნებოდი თუ არა ბაპტისტიო, რაზეც კონკრეტული პასუხი არ აქვს. მიუხედავად ამისა, დარწმუნებით საუბრობს მის დამოკიდებულებაზე ეკლესიის მიმართ: „ჩემთვის ჩემი ეკლესია არამხოლოდ რწმენაა და ღმერთთან ურთიერთობა, არამედ იდენტობის ნაწილიც.“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, დასავლეთ ევროპის ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ჩაბარებაც ამის ერთ-ერთი დადასტურებაა. თეოლოგიური ლიტერატურის წაკითხვის სურვილმა, რომელიც იმხანად იშვიათად ითარგმნებოდა, ენების შესწავლა გადააწყვეტინა. პარალელურად იყო ბაპტისტური სემინარია, რომელსაც უმადლის. „არაფერს ვაჭარბებ, ეს იყო ნათელი კუნძული 90-იანი წლების სიბნელეში. ეს იყო ადგილი, სადაც იკმაყოფილებდი გართობისა და შემეცნების წყურვილს.“თეოლოგიური ლიტერატურით დაინტერესებას რელიგიურ უმცირესობაში ყოფნით ხსნის. უნდოდა, რწმენასთან დაკავშირებული ყველა შეკითხვისთვის ჯეროვანი პასუხები გაეცა.

2006 წელს დიაკვნად აკურთხეს, შემდეგ ხუცესად, ხოლო 2008-ში - ეპისკოპოსად. ხელდასხმის შემდგომ, საზოგადოებაში მის ანაფორით გამოჩენას არაერთგვაროვანი რეაქციები მოჰყვა, თუმცა მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება არ ახსენდება. ქუჩაში უხერხულ მდგომარეობაში თავი იშვიათად უგრძვნია, მაგრამ მაინც ერიდება მისკენ მომართულ ინტერესიან და დაჟინებულ მზერას, რომელსაც მისი ანაფორა და თეთრი საყელო იწვევს. სასულიერო პირობას ექიმობას ადარებს:„როგორც ექიმი ვერ ეტყვის დახმარებაზე ავადმყოფს უარს, ასევე ვერ დაიხევს უკან ვერასდროს სასულიერო პირი.“

საუბრობს სირთულეებზე, თუმცა დასძენს, რომ შეზღუდვები არაფერში აქვს. ბედნიერია იმით, რომ ცხოვრობს ისე, როგორც მას მიაჩნია სწორად. ყველა როლში თავს კარგად გრძნობს, იქნება ეს ქალის, დედის, ექსპერტის თუ ეპისკოპოსის. შვილებთან

მეგობრული ურთიერთობა აქვს. ოჯახს რჩევებს ხშირად ეკითხება, ისევე, როგორც პირიქით. „ჩვენ დედას ფანკლუბი ვართ, ყველგან დავყვებით,“- ამბობს ნანიკო, რუსუდანის ქალიშვილი. თვლის, რომ ნებისმიერი საქმის კეთებისას ღვთისმსახურებას ეწევა, თუკი ეს საქმე სიყვარულით და სიკეთით კეთდება. არის ჩვეულებრივი ქალი. იცვამს ისევე, როგორც დანარჩენები. არ არის ბრენდებზე ორიენტირებული. მეტიც, მიმხელს, რომ მეორეული ტანსაცმლის მაღაზიების ხშირი სტუმარია. მაკიაჟს იშვიათად იკეთებს. „აიფონიც“ აქვს და „სუზუკის“ მარკის ჯიპიც, თუმცა ფინანსურად ეკლეასიაზე დამოკიდებული არ არის: „ჩემს ეკლესიას ისედაც მწირი შემოსავალი აქვს და მე თავს უფლებას ვერ მივცემ, პრობლემად დავაწვე.“

ნივთებისადმი მიჯაჭვულობა არ ახასიათებს, მაგრამ არასდროს მოუხსნია ქორწინების ბეჭედი და ჯვარი. ცხოვრობს აქტიური ცხოვრების წესით. მუდმივად მოძრაობს. სტაბილური დღის რეჟიმი იშვიათად აქვს. მსახურობს ეკლესიაში, მუშაობს გენდერის საკითხებზე, დადის გადაღებებზე. საოცარია, მაგრამ ყველასთვის პოულობს დროს.

დროის უკან დაბრუნება რომ შეეძლოს არაფერს შეცვლიდა. თავისი შეცდომებიც ეძვირფასება. „არა მგონია, ისეთი ჭკვიანი ვიყო, რომ რამის უკან დაბრუნებით ყველაფრის გამოსწორებას შევძლებდი და იდეალურად ვიცხოვრებდი. ცხოვრება იმითაა საინტერესო, როგორიც არის.“ ეშინია ბევრი რამის, განსაკუთრებით კი იმის, რომ იმედი არ გაუცრუოს მისთვის ძვირფას ადამიანებს, შვილებს, ეკლესიას. ფეისბუკზე დიდ დროს ატარებს და ისურვებდა, დროის სწორი მენეჯმენტი შეეძლოს. სოციალურ ქსელებთან დაკავშირებით აღნიშნავს: „ფეისბუკს ინტენსიურად ვიყენებ ბევრი მიმართულებით. ის ჩემს დროსაც ჭამს და ყურადღებასაც. აი, მაგალითად, როდესაც რაღაც მნიშვნელოვანი ხდება ერთი-ორი მკვახე სტატუსის დაწერით, იმის ნაცვლად რომ რაიმე სერიოზული პროდუქტი შევქნა, იქნება ეს ნაწერი თუ სხვა, ეს იმპულსები ქრება ჩემი ფიქრებიდან. რაც, ცხადია, ცუდია.“ უცენზურო და აგრესიულ წერილებს არ პასუხობს. ფიქრობს, რომ ფეისბუკზე მისი აქტივობაც მსახურების ერთ-ერთი ფორმაა და თან მნიშვნელოვანი: „ხალხმა უნდა გაიგოს, ვინ არიან ბაპტისტური ეკლესიის წევრები, რომ ჩვენ ვართ ჩვეულებრივი ადამიანები, მოქალაქეები.“

ყოველგვარი ნიშნით განსხვავებულობას, იქნება ეს ორიენტაცია, შეზღუდული შესაძლებლობა თუ რაიმე სხვა , ღმერთის მიერ ნაჩუქარ მდგომარეობად მიიჩნევს და ფიქრობს, რომ დაუშვებელია განსხვავებულები ერთი საფეხურით დაბლა დავაყენოთ. ამ წლის დასაწყისში რუსუდანი ქალთა სიმამაცისთვის ამერიკის პირველმა ლედიმ, მიშელ ობამამ დააჯილდოვა. ამ ფაქტმა მხოლოდ ის შეცვალა, რომ გააცნო საინტერესო და მამაცი ქალები მთელი მსოფლიოდან. მეორე მხრივ, გაზარდა მოლოდინები. იყო აგრესიული წერილებიც: „ზოგი აგრესიული პათოსით ამბობდა, რომ საქართველო შევარცხვინე ჩემი ჯილდოთი. ანუ, ეს ჯილდო ცხადყოფდა ჩვენს ქვეყანაში სტერეოტიპულ და მძიმე დამოკიდებულებას უმცირესობებისადმი, ამიტომ ზოგიერთისთვის ეს მტკივნეული აღმოჩნდა.“

ოცნებები არ აქვს, თუმცა მოუთმენლად ელოდება, რომ საქართველოში გაიზრდება პროგრესულად მოაზროვნე თაობა, რომელიც არ ემსგავსება მის თაობას და რომელშიაც იქნება ნათელი სხივი.

გულიკო ფაცაცია

12 წლის გენიოსი და ნაშრომები, რომლებმაც მეცნიერები დააბნია

ლუკა ირემაშვილი ჯერ მხოლოდ 12 წლისაა, თუმცა ის უკვე ხუთი სამეცნიერო ნაშრომის ავტორია ისეთ დარგებში, როგორებიცაა კვანტური მექანიკა, პალეონტოლოგია, ფსიქოლოგია და ფილოსოფია. მისი შრომები ეხება აღმოჩენებს ელექტრონების შესახებ. ამბობს, რომ აღნიშნული მეცნიერებებით ჯერ კიდევ თერთმეტი წლის ასაკში დაინტერესდა და ინფორმაციის მოძიება დამოუკიდებლად დაიწყო, შემდეგ თავი მოუყარა საკუთარ თეორიებს და აღმოჩენებამდეც მივიდა.

ლუკა მეშვიდე კლასშია და სკოლაში ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების სწავლა ჯერ არ დაუწყია, თუმცა ეს ხელს არ უშლის, მიიღოს ცოდნა მისთვის საინტერესო დარგებში. ამაში ბაბუა, ილია ხითარიშვილიც ეხმარება. პატარა მეცნიერის დედა ამბობს, რომ ლუკა მეოთხე კლასში იყო, როდესაც კითხვები გაუჩნდა კოსმოსის შესახებ, ასევე ის ეხმარებოდა უფროს ძმას მათემატიკური ამოცანების ამოხსნაში.

„ბავშვობიდან ჰქონდა მისი ასაკისთვის შეუფერებელი შეკითხვები, კითხვა ისწავლა თუ არა, ლიტერატურა კოსმოსის შესახებ, რომელიც სახლში გვქონდა, მაშინვე წაიკითხა. დაინტერესდა გამომგონებლებით, ჰქონდა ორიგინალური იდეები და ფიქრობდა, თვითონ რისი შექმნა შეეძლო,“- ამბობს მაკა ხითარიშვილი.

სჯეროდა, რომ გამოიგონებდა. არასოდეს ბეზრდებოდა საყვარელ საქმეზე ფიქრი, თავს არ ზოგავდა და მუშაობდა. ყოველთვის სურდა, მიეგნო ახლისთვის.

პროფესიით ქიმიკოსის, როგორც თავად ამბობს, შვილიშვილის კონსულტანტის, ილია ხითარიშვილის თქმით,ლუკასთან ნათესაურ კავშირზე მეტად მეცნიერულ თემებზე მსჯელობა აერთიანებს და სურს, რომ

სამეცნიერო საზოგადოებისგან უფრო დიდი გამოხმაურება ჰქონდეთ.

ლუკა შეხვდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მეცნიერებს, მათ მისი ნაშრომების გასაცნობად ორი თვის ვადა ითხოვეს. თავის აღმოჩენებზე ესაუბრა ასევე პალეონტოლოგ აბესალომ ვეკუას, რომელმაც თქვა, რომ პატარა გამომგონებლის ნაშრომები ახალი სიტყვაა და მას განსაკუთრებულად შესწავლა სჭირდება: „ეს ბავშვი გენიოსია, ძვლის შესახებ ყველაფერი ვიცი, მაგრამ რასაც ეს ბავშვი ამბობს, პირველად მესმის.“

ლუკა თავის ნაშრომებს ინგლისურ ენაზე თარგმნის, იმისათვის, რომ წარუდგინოს საერთაშორისო საზოგადოებას, მან თავისი ერთ-ერთი ნამუშევარი ასეთი სათაურით გამოაქვეყნა: ''12 წლის ბიჭი საქართველოდან კამათში იწვევს მსოფლიო მეცნიერებს კვანტურ მექანიკაში, ფილოსოფიაში, ფსიქოლოგიაში და პალეონტოლოგიურ მეცნიერებაში.“ იმედი აქვს, რომ ქართველი მეცნიერებისგანაც მიიღებს შენიშვნებსა და შეკითხვებს, რომლებიც მას უკეთ მუშაობისათვის სტიმულს მისცემს. ეუბნებიან, რომ ჯერ პატარაა ასეთ რთულ დარგებთან შეჭიდებისთვის და ურჩევენ, დროთა განმავლობაში, ისინი უფრო სრულყოფილად შეისწავლოს.

მიუხედავად იმისა, რომ აღმოჩენებზე აქტიურად ჩართული მუშაობს, ამბობს, რომ სამეცნიერო ლიტერატურის კითხვას უფრო ნაკლებ დროს ანდომებს, ვიდრე ფიქრს. მას მოწყობილი აქვს სამუშაო ოთახი, რომლის კედლებიც წიგნებითაა სავსე. აქ დგას სავარძელი და საწერი მაგიდა, იდეებს კი დაფაზე წერს. საყვარელ ოთახში ხშირად მარტო ზის, ისვენებს და თან მისთვის საინტერესო საკითხებზე ფიქრობს.

მიუხედავად იმისა, რომ რთული საკითხებით არის დაინტერესებული, ისევე ცხოვრობს, როგორც მისი თანატოლები: „დილით სკოლაში მივდივარ, გაკვეთილების შემდეგ ვისვენებ, ეზოში კალათბურთს ვთამაშობ მეგობრებთან და ძმასთან ერთად და თუ დრო დამრჩება, ჩემს ნაშრომებს განვიხილავ.“

ლუკას დედაც ადასტურებს, რომ ის ჩვეულებრივი მოზარდია, რომელსაც უნდა მიუთითო წიგნებისკენ, უნდა დააძალო ლექსის დაზეპირება და ოჯახის წევრებთან ურთიერთობაშიც განსაკუთრებულად არაფრით გამოირჩევა.

მისთვის საუკეთესო სამუშაო დრო ზაფხულია, როდესაც მეტი თავისუფალი დრო აქვს და შეუძლია, დიდხანს იფიქროს საინტერესო საკითხებზე და მოამზადოს ნაშრომები.

მეცნიერებათა დოქტორი არა, მაგრამ გამომგონებელი ყოველთვის სურდა, რომ გამხდარიყო და მოახერხა კიდეც. აქამდე შექმნილზე გაჩერებას არ აპირებს და ახალ საკითხზე მუშაობს, რომელსაც მალე გამოიტანს დღის სინათლეზე.

მანამდე, თორმეტი წლის გენიოსი დადის სკოლაში, ცხოვრობს ისე როგორც მისი თანატოლები და მსოფლიო მეცნიერებაშიც თავისი კვალის დატოვებას ცდილობს.

მარიამ მენაბდიშვილი

„ბესტსელერი“ - წიგნი წიგნებზე

როცა ლიტერატურის არსებობა საუკუნეებს ითვლის, როცა ყველაფერი უკვე დაწერილია და ნათქვამი, მით უმეტეს, აღარაფერი დაგრჩენია, გარდა იმისა, რომ დაწერო წიგნი წიგნებზე, თანაც იუმორით. ასე მოიქცა ბექა ადამაშვილი. 24 წლის მწერალი საზოგადოებამ ჯერ ბლოგით – doin.ge – გაიცნო, შემდეგ კი – გამარჯვებით, ლიტერატურულ კონკურსში – „შემოდგომის ლეგენდა“. „ბესტსელერი“ – ასე უწოდა ავტორმა პირველ წიგნს, რომელიც მაღაზიების თაროებიდან ისეთი სისწრაფით ქრება, სახელს თუ არა, ბექას მოლოდინს მაინც გაამართლებს.

ყველა მკითხველისთვის ნაცნობია სახარებისეული, ყურანის და სხვა ცნობილ ავტორთა (ხშირად, უკონტექსტო) ციტატები, ლათინური (გაუგებარი) ფრაზები, აუხსნელი ალუზიები და პეიზაჟების, გარეგნობისა თუ არქიტექტურის ისეთი დეტალური აღწერა, რამდენიმე ფურცლის თვალგადაუვლებლად გადაშლას რომ გაიძულებს. თუმცა, „კლასიკოსზე ან კარგი უნდა თქვა, ან არაფერი“. დუმილი „ბესტსელერმა“ დაარღვია.

წიგნის მთავარი პერსონაჟი სიტყვების მარტივი თამაშისას გაჩნდა. პიერ სონაჟი – ასე ჰქვია მწერალს, რომელსაც 33 წლის ასაკში 12 მკითხველზე მეტი არ ჰყავს და რომელიც საკუთარი თავისა და წიგნების პიარისთვის მსოფლიოს უმაღლესი შენობიდან ხტება. ბურჯ-ხალიფადან მიწას დანარცხებულ ადამიანს ჰოლივუდის ყველაზე ოპტიმისტი რეჟისორიც ვერ გააცოცხლებს, ამიტომ, ბუნებრივია, პიერი მოკვდა, მაგრამ მოხვდა არაბუნებრივ, ლიტერატურულ ჯოჯოხეთში. ადგილზე, სადაც მწერლები ისევე იტანჯებიან, როგორც მათი წიგნები ტანჯავდნენ მკითხველებს.

თუმცა, როგორც ბექა ამბობს, „ყველაფერს ანოტაციაში ვერ მოყვები“. სხვა დანარჩენისთვის არსებობს „ბესტსელერი“ და ინტერვიუ მის ავტორთან:

–ბექა, „წინასიტყვაობის მაგიერ“ - ის მაგიერ“ - ში წერ, რომ შენი წიგნი არანაირი ღრმა და ყოვლისმომცველი აზრის მატარებელი არ არის. მაშინ რატომ დაწერე? და საერთოდ, რისთვის იწერება წიგნები?

-ჩემი მიზანი იყო ღრმა და ყოვლისმომცველაზრიანი ნაწარმოებების შარჟი. რთულია ეძებო რამე კონკრეტული აზრი წიგნში, იმიტომ, რომ რასაც იპოვი მაინც სუბიექტური შეხედულება იქნება. როგორც ვაჟას არწივზე არ იცის კაციშვილმა „საქართველო“ იგულისხმებოდა, თვითონ „ვაჟა“ თუ უბრალოდ პოეტის ორნიტოლოგიური ექსკურსი იყო ბუნებაში, ისევეა წიგნების უმეტესობის აზრიც. ამიტომ, ვინც რას დაინახავს, თავად განსაზღვრავს, რამდენად ღრმა და ყოვლისმომცველია.

მე მგონია, რომ წიგნები იწერება სიამოვნების მისაღებად, მაგრამ სიამოვნების მიღებას თან მოჰყვება განათლება, შემეცნება, „თვალსაწიერის ზრდა“ და მათი თანმდევი დადებითი სახელზმნები.

–როგორ გაჩნდა იდეა დაგეწერა „სატირულ-პაროდიულ-დეტექტიურ-თავსატეხ-ფენტეზ-დაკიდევრაცგამოგვრჩა“ უანრის რომანი?

-იდეა გაჩნდა ერთი ჩვეულებრივი ფეისბუკ–საუბრიდან, როდესაც მოსაუბრემ აღნიშნა, რომ ძალიან ცუდად იმახსოვრებდა მწერლების გვარებს და თუ ოდესმე ჯოჯოხეთში მოხვდებოდა, მისი სასჯელი იქნებოდა ის, რომ მწერლები მივიდოდნენ მასთან, ის კი ვერაფრით შეძლებდა მათ გახსენებას. მაშინ მივხვდი, რომ შეიძლებოდა საინტერესო ამბავი გამოსულიყო. მწერლების ჯოჯოხეთზე.

–რომელმა მწერალმა დაგტანჯა? ვის დაუწესებდი ხანგრძლივ სასჯელს ლიტერატურულ ჯოჯოხეთში?

-მე „ულისემ“ დამტანჯა და თან ისე, რომ თავის გადადებას წიგნის გადადება ვამჯობინე. რა სასჯელიც დაიმსახურა ამისთვის პატივცემულმა ჯოისმა, კი არის მოთხრობილი წიგნში. პრინციპში, ეს უფრო ჩემი ბრალია, ვიდრე ჯოისის, ჰიუგოს ან თომას მანის. იმიტომ, რომ შეიძლება უასაკო ასაკში წავიკითხე ეგ წიგნები და ვერაფერი დავიჭირე მათში, კარგი ჩიტის გარდა.

–პიერ სონაჟი „ბესტსელერის“ მთავარი გმირის სახელია. აქამდე როგორ ვერავინ დაიჭირა ეს სიტყვების მარტივი თამაში?

-მეც ეგ მიკვირს, სხვათა შორის და თან იმდენად გამიკვირდა, რომ „გუგლს“ ჩავეძიე. მაგრამ „გუგლმაც“ საძიებო ველი აიჩეჩა: არ გამიგიაო. ალბათ, იმიტომ, რომ ,,სონაჟი“ როგორც გვარი, მაინცდამაინც, არც ქართულ რეალობაში არსებობს და მით უმეტეს, არც ფრანგულ.

–რომელიმე მწერლის გავლენა გიგრძვნია?

-იმდენად ხშირად არ ვწერ, გავლენებზე რომ ვიფიქრო. რაც იმ მომენტში მომადგება კლავიატურაზე, იმას ვკრეფ. ჯერჯერობით, არ ყოფილა შემთხვევა, გავჩერებულიყავი და „უი, ახლა ფოლკნერი ვიგრძენი ჩემში“ მეთქვას.

–პიერ სონაჟი და ოქტავი, „99 ფრანკიდან“ 33 წლის ასაკში აპირებენ თვითმკვლელობას, რადგან როგორც ბეგბედერი ამბობს, „ეს საუკეთესო ასაკია აღდგომისთვის“. წერის მანერითაც თითქოს გავხარ ფრანგ მწერალს. ფრედერიკ ბეგბედერთან შენს მსგავსებაზე რას იტყვი?

-ბეგბედერთან, ალბათ, უფრო სტილური მსგავსება შეიძლება იყოს – ვგულისხმობ ირონიას, თვითკრიტიკას, იუმორს.

–„ბესტსელერი“ – რამდენად ამბიციური ნაბიჯი და განაცხადია ეს სახელი ლიტერატურაში? უწინასწარმეტყველებ თუ არა ბესტსელერობას?

-ამბიციური განაცხადია კი, მაგრამ მარკეტინგულად კარგი სახელია. ,,ბესტსელერი“ რომ აწერია წიგნს, სულაც ჯოკრის სათამაშო ფურცლების ნაკრები რომ იყოს, მაინც მიმზიდველად გხვდება თვალში. ბესტსელერობას რაც შეეხება, ცოტა კომიკურია ქართულ ბაზარზე ამის წინასწარმეტყველება, როცა ტირაჟი ხუთასია. ანუ, საქართველოს მოსახლეობის რაოდენობის იმდენად მიზერული პროცენტი, რომ ყველას გაყიდვის შემთხვევაშიც კი, ,,ისერასელერი“ გამოდის.

–შენი აზრით, რა არის მთავარი, რაც უნდა ჰქონდეს ჩვენს საუკუნეში დაწერილ კარგ წიგნს?

-მარტივად გადმოცემული აზრი, 21–ე საუკუნის შესაბამისი ზომა, თხრობის განსხვავებული სტილი და ეფექტური ფინალი.

–რეცეპტი მარტივია და ლაკონიური. ამის ფონზე, ბევრი კარგი წიგნი იწერება?

-შეიძლება ბევრი კარგი წიგნი იწერება, მაგრამ მე იმდენად ცუდი ინტუიცია მაქვს, რომ მათ პოვნას იშვიათად ვახერხებ.

–რომელია შენი საყვარელი ავტორი და წიგნი?

-საყვარელი წიგნი არ მაქვს, მაქვს წიგნები, რომლებიც შემიძლია წავიკითხო რამდენჯერმე. მაგალითად, ,,პატარა პრინცი“ და ჯემალ ქარჩხაძის მოთხრობების კრებული. საყვარელი მწერლის დასახელება კი მარტო მაშინაა ადვილი, როცა ერთი მწერალი გაქვს წაკითხული.

–და ბოლოს, რის თქმა გინდოდა წიგნით და რამდენად გამოგივიდა სათქმელის მკითხველამდე მიტანა?

-მაგის ჩამოყალიბებას ვეცადე ექვსი–შვიდი თვე და ექვს–შვიდ წუთში გამიჭირდება ცოტა. პრინციპში, რის თქმაც მინდოდა, წიგნშია ნათქვამი და თუ არ ჩანს, ესე იგი, მაინცდამაინც სათქმელიც არ მქონია.

მაია ჭანტურიძე

„გურული დღიურები“ - ისტორიები თაობებისთვის

გიორგი კეკელიძის დოკუმენტური წიგნის, „გურული დღიურების“ პრეზენტაცია 2014 წლის ნოემბერში ჩატარდა. რამდენიმე კვირაში მისი ნამუშევარი ბესტსელერი გახდა. სწორედ ამიტომ, ავტორმა დამატებითი ტირაჟიც გამოსცა, თანაც არაერთხელ.

წიგნი მოგვითხრობს გურულების ისტორიებს. ხანდაზმული ბებიები და ბაბუები ახალგაზრდობის დროინდელ ამბებს ყვებიან: როგორ თხოვდებოდნენ და ინიშნებოდნენ, რა თავისებურებები აქვს გურიაში დაკრძალვის ცერემონიალს და ა.შ. ჩვენ, ხასიათი, ტრადიცია და ყველაფერი, რაც გურიას ახასიათებს, გიორგის წიგნში მკაფიოდ არის ასახული. გურიის სურნელს ავტორი განსაკუთრებით მძაფრად გრძნობს, რადგან წარმოშობით თავადაც ამ კუთხიდანაა. მისი ბავშვობის წლებიც ბევრ მოგონებას იტევს, ალბათ, ამიტომაც გადმოგვცემს ამბებს ასე ემოციურად და ცოცხლად.

მიუხედავად იმისა, რომ გიორგის სამუშაო გრაფიკი საგრძნობლად დატვირთულია, ის მაინც პოულობდა დროს იმისთვის, რომ წასულიყო გურიაში, ესაუბრა პერსონაჟებთან და მათი ისტორიები უკვდავი გაეხადა ჩვენთვის და მომავალი თაობებისთვის.

- რატომ გადაწყვიტეთ გურულების ისტორიების წიგნად გამოცემა?

- იმიტომ, რომ გურია არის მხარე, რომელსაც ვიცნობ ყველაზე კარგად, ეს ერთი. მეორე, ეს ის მხარეა, რომელიც ძალიან ბევრ ემოციურ გამოცდილებას მკარნახობდა. ეს გამოცდილებები და ემოციები გროვდებოდა ჩემში და შესაბამისად, ადრე თუ გვიან ფურცელზე უნდა გადმომეტანა. ძალიან მინდოდა, რომ საკუთარი თავი გამომეცადა პროზაული მიმართულებით. ცხადია, ეს არ გახლავთ კლასიკური პროზა, ეს არის ესეისტიკა. მაგრამ ბუნებრივია, მაინც არის გადასვლა პოეზიიდან პროზაულ ჟანრში და შესაბამისად, ჩემთვის ეს იყო გარკვეული ექსპერიმენტი და გამოწვევა.

- საქართველოს დანარჩენი კუთხეებისგან მაინც რით გამოირჩევა გურია?

- ყველა კუთხე არის განსხვავებული და შესანიშნავი. მე მიწევს შეხება საქართველოს თითქმის ყველა კუთხესთან, ბიბლიოთეკების გახსნის გამო. ამას ჩვენ ჩვენი ინიციატივით ვაკეთებთ (ვგულისხმობ ეროვნულ ბიბლიოთეკას), მაგრამ, რაც შეეხება გურიას, ის არის გამორჩეული იმით, რომ რაღაც თვალსაზრისით, აქ ყველაზე უფრო მძაფრად არის ერთმანეთთან შერწყმული იუმორი და ტკივილი. ამ იუმორისა და ტკივილის ჭიდილზე დაკვირვება არის, ასე ვთქვათ, რომანული საქმე, რომელიც, ბუნებრივია, მოითხოვდა მხატვრულ სიტყვას. მე შევეცადე, ჩემი ბებიებისა და ბაბუების, ნათესავების, სხვა პერსონაჟების ისტორიებით ერთად გადმომეცა იუმორიცა და ტკივილიც.

-ძირითადად ხანდაზმული ადამიანები არიან თქვენი პერსონაჟები.

-ცხადია, იმიტომ რომ მათი ისტორიები უფრო შორს არის ჩვენგან და, შეიძლება, უფრო ადვილად დაიკარგოს, ვიდრე იმ ადამიანებისა, რომლებიც ჩვენს თაობას მიეკუთვნებიან. გურულების ნაამბობის ვიდეომასალაც არსებობს. მინდა, რომ ფილმად გავაკეთო. ძალიან რთული ამბავია, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, მოგვარებადია.

გიორგი კეკელიძეს დოკუმენტურ ფილმთან ერთად, წიგნის მეორე ნაწილის შექმნის სურვილიც აქვს. რაც შეეხება „გურულ დღიურებს“, მისი შეძენა მისი შეძენა წიგნის მაღაზიებშია შესაძლებელი.

ხატია ზაკალაშვილი

გაქცევა მუქი, ჰერმეტული გარემოდან

ვლადიმერ ფეინბერგის წიგნებში გაჟღერებული საბჭოთა ეპოქისთვის დამახასიათებელი მორალური სირთულეები, სოციალური და ზნეობრივი პრობლემები აქტუალობას რკინის ფარდის დამსხვრევის შემდგომაც არ კარგავს. კუნინის ფსევდონიმით ცნობილი ლიტერატორი თავად იყო კომუნისტური ვნებათაღელვის ყოველი ტალღის უშუალო მონაწილე. სწორედ ამ გამოცდილების მკვეთრ გავლენას განიცდის მისი ყველა ნაწარმოები. კუნინის ნოველებისა და რომანების მიხედვით 17 ფილმია გადაღებული. მათგან ერთ-ერთია „ინტერგოგონა“, ამავე სახელწოდების წიგნის ეკრანიზაცია.

ნოველა მოგვითხრობს ოთხმოციანელი პეტერბურგელი მედდის ისტორიას. ტანია ზაიცევა საშუალოსტატისტიკური საბჭოთა მოქალაქეა. მძიმე სოციალური ფონი, თანამედროვეობისათვის შეუფერებელი და მოძველებული, ნგრევის პირას მყოფი სისტემა, გაუსაძლისი ფინანსური მდგომარეობა და სოციალური უსამართლობა მათთვის კარგად ნაცნობი ცნებებია. სამართლებრივი ან „პატიოსანი“ გზით ცხოვრების წარმართვა შეუძლებელია. კორუფცია არათუ ჩვეულებრივი, აუცილებელი მოვლენაცაა. ყველას „ალტერნატიული შემოსავალი“ ასულდგმულებს.

ზაიცევასთვის მეძავობაა გამოსავალი. გარეგნობაში გაუმართლა და მხოლოდ ელიტური კლიენტების მომსახურება უწევს. დედას უმალავს. მამამ დაბადებამდე მიატოვა, თუმცა ტანიასგან ფულს მაინც ელის. გოგონების უმეტესობისათვის ზაიცევას გზა ერთადერთი პერსპექტივაა. მარშრუტი: სკოლიდან „ინტურისტამდე“. ინტერგოგონები ერთმანეთს გზის პოვნაში ეხმარებიან. ყოველდღიურად მათთვის მორევი უფრო ღრმავდება. ასეთ დროს, ალბათ, მხოლოდ გარბიან, მაგრამ საბჭოეთი ამ მხრივაც გამონაკლისია. ტანიას უმართლებს და უცხოელი კლიენტი ცოლობას სთხოვს. მუქი, ჰერმეტული გარემოდან გაქცევა შესაძლებელი ხდება. ტანიასთვის მატერიალური კეთილდღეობა შეგუების შემდგომი ამოსავალი წერტილი აღარაა. ფარდის მეორე მხარეს, დაძლეულ სოციალურ უსამართლობას მორალური პრობლემები ჩაანაცვლებს. გაქცევა მხოლოდ გაქცევამდე იყო ხსნა. წარსული აწმყოს აბინძურებს, თუმცა უწარსულოდაც არ აკლია აწმყოს ჭუჭყი. წარსული შავი ან თეთრია, აწმყოში კი ფერები არ არის. დაბრუნებაცა და დარჩენაც სულერთია. სიკვდილი არჩევანისგან ათავისუფლებს, თუმცა, შესაძლოა, არჩევანმა მოკლა კიდეც.

ნაწარმოებში გაჟღერებული მთავარი თემები აქტუალურობას არ კარგავს და ეს, სავარაუდოდ, კიდევ დიდხანს გაგრძელდება. პროსტიტუცია, კაცობრიობის დასაბამიდან დღემდე, ერთ-ერთ ყველაზე „ფესვგადგმულ“ პრობლემად რჩება, რომლის აღმოფხვრა ფაქტობრივად არც ერთ ცივილიზაციაში სრულად არ მომხდარა. დღეს, მეძავთა რიცხვი, მიუხედავად კაცობრიობის პროგრესისა, საგრძნობლადაა გაზრდილი. სულ უფრო ფართო ხასიათს იღებს ბავშვთა პროსტიტუცია. თანამედროვე მსოფლიო ამ საკითხთან დაკავშირებით კვლავაც არ არის ჩამოყალიბებული, კანონმდებლობის დონეზეც კი.

ნაწარმოების კიდევ ერთი და მთავარი თემა ფესვებიდან მოწყვეტაა. უფრო კონკრეტულად, სპონტანურად მიღებული გადაწყვეტილება სამშობლოდან გაქცევის შესახებ. საბჭოეთი დღეს აღარ არსებობს, თუმცა კვლავაც მრავლადაა ქვეყნები, საიდანაც უკანმოუხედავად, პირველივე შანსის მიღებისთანავე გარბიან. ოღონდ ინტერგოგონას მსგავსად გაქცევა იშვიათად აღმოჩნდება ხოლმე სიკეთის მომტანი.

ედი ბარამაშვილი

,,ფოტო უნდა იყოს ან ყავასავით ცხელი, ან კონიაკივით ძველი“

გოგა ჩანადირმა ფოტოგრაფიამდე მოგზაურობა დაიწყო, თუმცა მისთვის ეს ორი სფერო ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. ამბობს, ფოტოგრაფმა ბევრი უნდა იაროს თუ უნდა რომ გაიზარდოს, ახლებურად დაინახოს სივრცე, გამოუმუშავდეს დაკვირვების უნარი და გაიზარდოს პროფესიულად-ო.

14 წლის განმავლობაში 5 მილიონზე მეტი ფოტო გადაიღო და თვლის, რომ ფოტოგრაფის მთავარი დანიშნულებაა ასახოს რეალობა.

ადამიანის სიცოცხლეს მეტად აფასებს, ვიდრე კადრს. თუ დაინახავს, ვინმე ხიდან ვარდება მიეშველება, და არ დაელოდება მის გადმოვარდნას, იმისთვის, რომ გადაიღოს. ფოტოაპარატი, წიგნი და წყალი - ის ატრიბუტებია, რომლებიც ყველა მოგზაურობაში თან დააქვს. უკვე 100-მდე ქვეყანაშია ნამყოფი და მაცივარზე მაგნიტებიც აღარ ეტევა, თუმცა გაჩერებას არ აპირებს, სანახავი და გადასაღები, ჯერ კიდევ ბევრია.

ოცნებობს ანტაქრტიდაზე მოხვედრაზე, რათა ყინულის მთებისა და პინგვინების ბევრი ფოტო გადაიღოს.

-გოგა, არის რამე ისეთი, რისი ასახვაც ფოტოგრაფიას არ შეუძლია?

-არა. ნებისმიერი ხელოვანი მოახერხებს ყველაფრის ასახვას. ქარი არ ჩანს, მაგრამ მისი გამოსახვაც შესაძლებელია გადახრილი ხეების, ან ბალახის ჩვენებით. ემოციებს კიდევ ყოველთვის ჩადებ შენს ნაშრომში. მაგალითად, როცა საქართველოს ვიღებ დიდი სიყვარულით, ღრმა პატივისცემით და მოკრძალებით ვმუშაობ. დამთვალიერებელი აუცილებლად დაინახავს ფოტოში ჩემს განსაკუთრებულ დამოკიდებულებას.

-რა უფრო მნიშვნელოვანია შენთვის ფოტოში - იდეა თუ მისი განხორციელება?

-ორივე. ფილმში, მაგალითად, იდეაც და განხორციელებაც არის რეჟისორის შედეგი, რის გამოც მან გადაიღო ეს ფილმი. თუ გაქვს იდეა და ვერ განახორციელე, ჩანაფიქრი ჩანაფიქრად დარჩება. თუ იდეა არ არის და კადრები გადაიღე, ვერ მიხვდება ადამიანი რატომ გადაიღე. ჩემი მოტივაცია არის და მამოძრავებელი ძალაა ავსახო სინამდვილე. ავსახო ის, თუ როგორები ვართ და რა გარემოში ვცხოვრობთ ქართველები. მე არ მიჭირს ამის ასახვა. პირიქით.

-შენი გადაღებები, ძირითადად, დაგეგმილია თუ ექსპრომტი?

-ვცდილობ ხოლმე დავგეგმო. ვთქვათ, ჩავიდე, ეს ადგილი ვნახო, განათება სწორად შევარჩიო. ეს დამოკიდებულია იმაზე, რის გადაღებას ვაპირებ. უცაბედადაც ძალიან ბევრი გადამიღია. პრინციპში, არსებითი არ არის დაგეგმილია თუ მოულოდნელად გადავიღებ, მთავარია ავსახო რეალობა.

-ოდესმე თუ გქონია შემთხვევა, როცა გიფიქრია, ახლა რომ აპარატი მქონდეს, მაგარ კადრს გადავიღებდიო?

-აპარატი სულ თან დამაქვს, ამიტომ ასეთი სიტუაცია არ მქონია. მაგრამ რამდენჯერმე მიფიქრია, აქ სხვა დროს კიდევ მოვხვდები და მერე გადავიღებ-მეთქი. თუ, მაგალითად, განათება არ მიწყობს ხელს. ვიღებ შემორჩენილი საბჭოთა ხელოვნების ნიმუშების სერიას. ცხვარიჭამიასკენ მიმავალ გზაზე არის საბჭოთა მოზაიკა, რომელზეც 2004 წლიდან ვამბობ, სხვა დროს გადავიღებ-მეთქი, მაგრამ ჯერაც არ გადამიღია.

-გაქვს ფოტო, რომლის გადაღებითაც ამაყობ და რომელიც განსაკუთრებულად გიყვარს?

-სვანეთში გადავიღე ანგელოზის ტბა, რომელსაც საქართველოს რუკის ფორმა აქვს. ეს რომ დავინახე, გული შემიქანდა. ხანდახან არის ხოლმე შემთხვევები, როცა გადაღებამდე ვტკბები კადრით. ასეთი რამ ხშირად სპორტულ მატჩებზე მემართება. თუმცა ეს არაპროფესიონალური საქციელია. ასე იყო სვანეთშიც, ჯერ ტკბობა განვიცადე, რა სილამაზეა-მეთქი, მერე გავიაზრე, რომ უნდა გადამეღო და პროფესიულ ჩვევებს დავუბრუნდი.

-პროფესიით ხარ კინოსცენარისტი. როდის მიხვდი, რომ მაინცდამაინც ფოტოგრაფია იყო ის, რითაც შენი სათქმელი უნდა გეთქვა?

-წერა ძალიან მიყვარს და კინოსასცენაროზე ჩაბარების გადაწყვეტილებაც, სწორედ, წერის სიყვარულმა მიმაღებინა. ახლაც ხშირად ვწერ, ძირითადად მოგზაურობისას გადახდენილ ამბებს.

2010 წელს დავიწყე ფოტოგრაფობა. მაშინ დილის გაზეთში ვმუშაობდი, ჟურნალისტად. ერთხელაც, როცა ხანძრის გასაშუქებლად მივდიოდი, რედაქტორმა მითხრა, რომ ჩემი მასალებისთვის ფოტოებიც უნდა გადამეღო. მოეწონათ. შემდეგ უკვე დავალებებსაც მაძლევდნენ, სხვადასხვა თემატიკაზე.

2003 წელს, ვარდების რევოლუციის დროს, როცა პარლამენტში შევედი და ფოტოები გადავიღე, საზოგადოებამ გამიცნო, როგორც ფოტორეპორტიორი.

მიუხედავად იმის, რომ თვითნასწავლი ფოტოგრაფი ვარ, მაინც მომზადებული მოვედი ფოტოგრაფიაში. ჟურნალისტური გამოცდილება ბევრ რამეში დამეხმარა.

-რისი გადაღება გიყვარს ყველაზე მეტად?

-თითქმის ყველაფერს ვიღებ და ძალიან ბევრ თემაზე ვმუშაობ. მაგალითად: სოც. არტი, 100 წელს გადაცილებული ადამიანები, საქართველოს გზები და ხიდები, დაცული ტერიტორიები, ყოფა-ცხოვრება... მიყვარს აეროგადაღებები. საქართველოს თავზე ბევრჯერ მიფრენია და ძალიან დიდი არქივი დამიგროვდა. სხვადასხვა ქვეყნის კულტურითაც ვინტერესდები. ძალიან მიყვარს ეთნოგრაფიაზე მუშაობა - ესაა შენი ცხოვრების სტილი, შენი ჩააცმულობა, შენი მუსიკა, შენი სამზარეულო და ა.შ. ეთნოგრაფია, როგორც წესი, იცვლება და შემდეგ, ეს ფოტო რჩება ისტორიას. მე რომ მეცხოვრა რომაელების პერიოდში და გადამეღო რომაელების ჩამულობა, რამხელა ფასეულობა იქნებოდა დღეს ისტორიისთვის! განსაკუთრებულად მიყვარს ფოტოდოკუმენტალისტიკაზე მუშაობა.

-რა არის შენი მთავარი მოტივი ფოტოების გადაღებისას?

-ვიღებ იმიტომ, რომ ადამიანებმა ნახომ, გაიაზრონ, შეუყვარდეთ საქართველო და გაიცნონ მსოფლიო. ჯერ კიდევ კარჩაკეტილ ქვეყანაში ვცხოვრობთ. ვერ გავდივართ ვიზების და მწირი შემოსავლების გამო საზღვარგარეთ. ფოტოები იძლევა საშუალებას მეტი გაიგო და არ გვეგონოს, რომ ყველაზე კარგები და ლამაზები ჩვენ ვართ. ფოტოები უნდა დაეხმაროს ადამიანებს უფრო მართლები და ობიექტურები იყვნენ შეფასებაში.

მაია ჭანტურიძე

ხელოვნებით გადმოცებული სისასტიკე

21-დან 24 დეკემბრის ჩათვლით, თანამედროვე თეატრალური ხელოვნების განვითარების ცენტრისა და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, სამეფო უბნის თეატრში აქტუალური დრამის ფესტივალი-„სასტიკი თეატრის დღეები“ გაიმართა.

ფესტივალი 21 დეკემბერს გაიხსნა ნინო სუხიტაშვილის სპექტაკლით „მრისხანება“. ამავე დღეს გაიმართა დევიდ ჰაროვერის "შავი ფრინველის" ჩვენებაც. „სასტიკი თეატრის დღეების“ მეორე დღე დაეთმო დენის კელის „ONA“-სა და დათა თავაძის „დედა ომს“. ფესტივალის ფარგლებში შედგა ლაშა ბუღაძის, სარა კეინისა და დავით გაბუნიას სპექტაკლების, „26 მაისი“-ს,„აფეთქებულისა“ და „რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების“ ჩვენება.

„გვინდოდა გვეჩვენებინა საზოგადებისთვის სისასტიკის სხვადასხვა ფორმა. ვფიქრობ, რომ ყველა ასპექტი განვიხილეთ, რაც დღეს აქტუალურია. განვიხილეთ მათი გამომწვევი მიზეზები. მაგალითად,

დენის კელის პიესა „დეენემი“ სკოლაში თანაკლასელების მიერ ერთმანეთის ჩაგვრას ეხება, რომელიც გამოიხატება ძალიან საინტერესო ფორმით,“-ამბობს რეჟისორი ნინო სუხიტაშვილი.

ერთ-ერთი ასეთი სპექტაკლია „26 მაისი“, რომელიც ლაშა ბუღაძის პიესის მიხედვით დაიდგა. ის საბერძნეთში ქართველი ემიგრანტი ქალების ყოფა-ცხოვრებას ასახავს. როგორც მწერალი აღნიშნავს, პიესა მაქსიმალურად ცხადად აღწერს ემიგრანტი ქალების სასტიკ რეალობას. განხილვის გარეშე არ რჩება ტრეფიკინგის პრობლემაც.

„სასტიკი თეატრის დღეები“ სრული ანშლაგით დასრულდა. ფესტივალი დახურა სარა კეინის პიესამ „აფეთქებული“. „პიესაში ზუსტად არის გამოხატული ფესტივალის მიზანი. იგი ჟურნალისტის საქმიანობას აღწერს ომის დროს, რომელსაც ავიწროებენ,“ - აცხადებს დათა თავაძე.

მარიამ ქარენაშვილი

„უხმოთა ყვირილი"

უკვე დავიღალე იმაზე წერით, როგორ ქვეყანაში ცხოვრება მინდა, ან როგორ ქვეყანაში – არ მინდა. დავიღალე ყოველდღე იმ პრობლემებზე საუბრით, რომლის გადაწყვეტის არც შესაძლებლობა არსებობს და არც სურვილი. დავიღალე ჩემი ქვეყნით, რომელშიც საკუთარ თავს ვერ ვგრძნობ, იმედითაც დავიღალე და ყვირილითაც – ეს ხმა მაინც არავის ესმის, ამ ხმის გაგონება მაინც არავის უნდა.

დავიღალე მომავალზე ოცნებით, რომელიც ისეთივე არაფრისმომცემი და უშედეგოა, როგორც თავად „ოცნება“, დავიღალე ღარიბაშვილებით, საკაშვილებით, ივანიშვილებითა და უსუფაშვილებით. იმათითაც დავიღალე, ვინც ამათით არ დაღლილა.

ვინ ვინ და ისევ შენ და ის ვიღაც ხართ დამნაშავეები. დიახ, შენც! აიმაღლე ხმა და თქვი, რომ რაღაც არ მოგწონს, თქვი, რომ უნდა შეიცვალოს, თქვი, რომ ეს შენი უფლებაა.

მსგავსი რამეები აქ არ ხდება? ვიცი, ვიცი



ჩვეულებრივ მოქალაქესა და მეორე პასუხისმგებლობებმოხსნილ მოქალაქეს ვინმე „ბიძინას“ ერთნაირი უფლებები არ აქვთ.

ჰო, ვიცი, ესეც ვიცი, რომ აქ შენს იერარქიას შენი ჯიბის სისქე განსაზღვრავს და მერე სულ ერთია, თავში რა გიდევს, ან წარსულში რა „მიგიქარავს“.

21 წლის ვარ და ამ ყველაფრით უკვე დავიღალე.

დაიღლები შენც.
დაიღლება ისიც.
დამიჭერენ მე.
დაგიჭერენ შენ.
ან მომკლავენ.
ან მოგკლავენ.

და დაიღლებიან სხვები, დაწერენ სხვები, ინერვიულებენ, განიცდიან, შეშფოთდებიან სხვები, აქციებზე ირბენენ დიდი პლაკატებით, მაგრამ სხვებიც დაიღლებიან!

მათს ხმას არავინ გაიგებს, ისევე,როგორც არ გესმით ჩემი. ისე, როგორც არ გესმით არავისი, რადგან საკუთარ თავს საკუთარ ოთხ კედელში დაცულად გრძნობთ და გგონიათ, ტყვია, რომელსაც მე მესვრიან, მხოლოდ მე მკლავს.

არადა, თქვენ ჩემზე ადრე მოკვდით, ათჯერ, ასჯერ,ათასჯერაც...

თქვენ მოკვდით! დიახ, თქვენ გარდაცვლილი ხართ!

თქვენი აზრი თქვენს კედლებს გარეთ ვერ აღწევს.

დაე, იცოცხლეთ დიდხანს და ბედნიერად თუ ეს სიცოცხლედ მიგაჩნიათ, თუ თქვენს სახლს თქვენს სამშობლოდ თვლით, თუ თქვენი სტაბილურობა ქვეყნის სტაბილურობა გგონიათ.

თუ იმასაც ფიქრობთ, მხოლოდ ასე აგცდებათ ტყვიები, ქაოსი, ტკივილი, დაიბრმავეთ თვალები, ღიმილით უყურეთ სატირალს, დაიხშეთ ყურთასმენა...

იცხოვრეთ ბედნიერად! და, რაც მთავარია, იოცნებეთ !

ქეთევან კანდელაკი

წეროვანის თეთრი და შავი

ავტ. მარიამ მენაბდიშვილი

ასე გამოიყურება 2008 წელს აშენებული კოტეჯები წეროვანში დღეს



მას აღარც ოცნებების სჯერა და აღარც დაპირებების ასრულების... 28 წლის შვილი დაეღუპა, მისი სახლი მიწასთან გაასწორეს რუსმა ოკუპანტებმა. წეროვანში, კოტეჯში მარტო ცხოვრობს. გათბობა არ აქვს, არც მისი დამონტაჟების სახსრები... ამ ადამიანს ყოველ არჩევნებზე სთხოვენ, მივიდეს და მოქალაქის მოვალეობა შეასრულოს... იმედი აქვს, რომ ოდესმე სახლში დაბრუნდება.

“ძალიან გვიჭირს, ისე ცუდად ვცხოვრობთ, მეტი რომ არ შეიძლება, საშველიც რომ არ ჩანს...”

შუახანს გადაცილებული მამაკაცები დასაქმების პრობლემას აქვთ და პენსიის იმედზე ცხოვრობენ.

ორი შვილის დედა, რომელიც ამბობს, რომ ყველაფრის მიუხედავად, ბედნიერია

მათ არ იციან სიტყვა “ოკუპაციის” განმარტება, მაგრამ გამოცდილი აქვთ მისი მნიშვნელობა.

წეროვანში არავისი აღარ სჯერათ, არავისგან აღარაფერს ელოდებიან

ანაბეჭდი

მთავარი რედაქტორი -
მაია ჭანტურიძე

ნომრის რედაქტორი -
ანა მებურიშვილი

ტექნიკური რედაქტორი -
ანა მებურიშვილი

ჟურნალისტები:
მარიამ მენაბდიშვილი, ანა სარალიძე, ხატია ზაკალაშვილი, ელზა ელბაქიძე, ქეთა კანდელაკი, თამარ ეძგვერაძე, ბადრი ცხომარია, ანა მებურიშვილი, სალომე აბულაშვილი, მაია ჭანტურიძე, ანა მებურიშვილი, გიორგი საგინაძე, გიორგი ურუშაძე, ედი ბარამაშვილი,სალომე ფხალაძე, მარიამ ქარენაშვილი

სტილისტ-კორექტორი -
ელზა ელბაქიძე, გულიკო ფაცაცია, მარიამ მენაბდიშვილი, სალომე აბულაშვილი

დამკაბადონებელი -
ზაზა ნიკოლოზიშვილი

ხელმძღვანელი -
ასოცირებული პროფესორი
მაია ტორაძე